



# დემოკრატია ალყაში: საქართველოს ავტორიტარული მიტაცება

Rule of Law Lab

 NYU | LAW





## 2025 წლის სექტემბერი

ანგარიში მოამზადეს კვლევითმა ინსტიტუტმა “Gnomon Wise“-მა (საქართველოს უნივერსიტეტი) და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლის უზენაესობის ლაბორატორიამ. დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ინსტიტუციურ პოზიციებს.



# სარჩევი

რეზიუმე და რეკომენდაციები .....	4
<b>I. შესავალი .....</b>	<b>13</b>
<b>II. დემოკრატიის მშენებლობა: პოსტსაბჭოთა საქართველო.....</b>	<b>14</b>
<b>III. ავტორიტარიზმის ანატომია საქართველოში .....</b>	<b>16</b>
i) საარჩევნო მანიპულაცია .....	16
ii) სასამართლოს მიტაცება.....	18
iii) პროკურატურის პოლიტიზება .....	21
iv) სახელმწიფო უწყებების იარაღად გამოყენება.....	22
v) საჯარო სამსახურისა და დამოუკიდებელი უწყებების ხელში ჩაგდება .....	23
vi) ოპოზიციური პარტიებისა და ლიდერების დევნა .....	24
vii) პროტესტის ჩახშობა.....	25
viii) სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიზანში ამოღება.....	27
ix) ლგბტქი+ თემის შევიწროება .....	29
x) დამოუკიდებელი მედიის პროპაგანდისტული მედიით ჩანაცვლება .....	30
xi) აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა .....	31
<b>IV. საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია საქართველოს დემოკრატიულ უკუსვლაზე.....</b>	<b>33</b>
<b>V. დასკვნა .....</b>	<b>35</b>
<b>სქოლიოები .....</b>	<b>37</b>

# რეზიუმე და რეკომენდაციები

ქართული დემოკრატია კრიზისშია. ბიძინა ივანიშვილისა და მისი პარტიის - „ქართული ოცნების“ - მმართველობის დროს, დემოკრატიული ინსტიტუტები მიზანმიმართულად გამოფიტეს, დანიშნულება შეუცვალეს და პერსონალისტური რეჟიმის საყრდენებად გადააქციეს.<sup>1</sup> უკანასკნელ ათწლეულში, ივანიშვილის რეჟიმმა კიდევ უფრო გაიმყარა ძალაუფლება, ინსტიტუტების მიტაცების, რეპრესიული კანონმდებლობის მიღებისა და იძულების ტაქტიკების გამოყენების გზებით.<sup>2</sup> ავტორიტარული კონსოლიდაცია კიდევ უფრო დაჩქარდა და დამძიმდა 2024 წლიდან, როდესაც რეჟიმმა დაიწყო აქამდე ყველაზე უფრო დრაკონული ანტიდემოკრატიული ზომების მიღება. წინამდებარე ანგარიშში დოკუმენტირებულია დემოკრატიაზე რეჟიმის თავდასხმისა და მასზე საერთაშორისო რეაქციის ძირითადი ასპექტები, ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა შევეწინააღმდეგოთ საქართველოს მიტაცებას ავტორიტარული რეჟიმის მიერ.

1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ დემოკრატიული რეფორმების და ინსტიტუციური სიმყიფის ციკლები გამოიარა.<sup>3</sup> 2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“, მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ბიძგი მისცა მოდერნიზაციისა და დასავლური ინტეგრაციის ტალღას, რასაც ასევე თან სდევდა აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების ცენტრალიზაცია.<sup>4</sup> სააკაშვილის მმართველობით გამოწვეული მზარდი უკმაყოფილების ფონზე, ქართულ პოლიტიკაში ივანიშვილისა და მისი ახალშექმნილი პარტია „ქართული ოცნების“ გამოჩენა გარდამტეხი მოვლენა აღმოჩნდა. თუმცა, რეფორმების გატარების შესახებ თავდაპირველი დაპირების მიუხედავად, ივანიშვილმა, „ქართული ოცნების“ მეშვეობით, სწრაფად შეძლო კონტროლის გამყარება პოლიტიკურ ძალაუფლებაზე, რამაც 2013 წლის ბოლოს, პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან ოფიციალურად გადადგომის შემდეგ, მას ძალაუფლების დე-ფაქტო შენარჩუნების შესაძლებლობა მისცა.<sup>5</sup>

„ქართული ოცნების“ მმართველმა რეჟიმმა ავტორიტარიზმის კონსოლიდაცია განახორციელა საარჩევნო მანიპულაციის, სასამართლო ხელისუფლების მიტაცების, პროკურატურის პოლიტიზების, სახელმწიფო უწყებების იარაღად ქცევის, საჯარო სამსახურისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების ხელში ჩაგდების, ოპოზიციური პარტიებისა და ლიდერების დევნის, პროტესტის ჩახშობის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ლგბტქი+ თემების მიზანში ამოღების, დამოუკიდებელი მედიის პროპაგანდისტული მედიით ჩანაცვლებისა და აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის მეშვეობით. მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია ამ მრავალწახნაგოვანი ავტორიტარული სტრატეგიის საკვანძო ელემენტები:

**i. საარჩევნო მანიპულაცია:** საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების სანდოობა არსებითად შეილახა არაერთი ბრალდებით ისეთ სისტემურ დარღვევებთან დაკავშირებით,<sup>6</sup> როგორებიცაა საარჩევნო „კარუსელი“ (არჩევნების გაყალბების სქემა, როდესაც ცალკეული ინდივიდები, ამომრჩევლის ყალბი საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით, რამდენჯერმე აძლევენ ხმას სხვადასხვა უბანზე),<sup>7</sup> ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა<sup>8</sup> და უკანონოდ მოპოვებული პირადი მონაცემების გამოყენებით, ამომრჩეველზე ზეწოლა.<sup>9</sup> საზოგადოებრივი აზრის კვლევის ამერიკული კომპანია HarrisX-ის დასკვნით, სტატისტიკურად შეუძლებელია, დამდგარიყო

არჩევნების ისეთი საბოლოო შედეგები, რომლებიც საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარადგინა.<sup>10</sup> ევროპულმა პარლამენტმა, რომელიც არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაში იყო წარმოდგენილი, არჩევნები შეაფასა, როგორც არათავისუფალი, არასამართლიანი და ხელახალი არჩევნების გამართვის მოწოდებით გამოვიდა.<sup>11</sup>

**ii. სასამართლო შტოს მიტაცება:** ივანიშვილის რეჟიმმა მოსკო აღმასრულებელი ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შემზღვეველი სასამართლო მექანიზმები, საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიტაცების გზით. რეჟიმმა საერთო სასამართლოებზე კონტროლის დამყარება შეძლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძალაუფლების გაფართოებით, კერძოდ, ამ ინსტიტუტის სრულ კონტროლს დაუქვემდებარა მოსამართლის კარიერის ყველა ასპექტი, მათ შორის, მიანიჭა ფართო უფლებამოსილებები მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, დაწინაურებისა და დისციპლინური ზომების მიღების თაობაზე.<sup>12</sup> იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე კონტროლი რეჟიმმა მოიპოვა იმით, რომ ელიტური მოსამართლეების ქსელი თავის სამსახურში ჩაიყენა, მათი მეშვეობით კი სისტემა დაუმორჩილებელი მოსამართლეებისგან<sup>13</sup> განმინდა და საერთო სასამართლოები ერთგული კადრებით გადაავსო. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშის თანახმად, „ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობა შესუსტებულია იმ ბერკეტების მეშვეობით, რომლებსაც, უპირველესად, სასამართლოში ხელისუფლების ინტერესებში მოქმედი მოსამართლეების გავლენიანი ჯგუფი, ე.წ. „კლანი“ ფლობს. ასეთ ბერკეტებს განეკუთვნება მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, დაწინაურებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის პრობლემური პრაქტიკები; ინდივიდუალური სასამართლოების ავტონომიის ნაკლებობა სასამართლოს თავმჯდომარეთა შერჩევის პროცესში; საქმეთა შემთხვევით განაწილებასთან დაკავშირებული მანიპულაციები; ერთი სასამართლოდან მეორეში მოსამართლეთა გადაყვანა; კონკრეტული საქმეების განხილვასთან დაკავშირებით, ინსტრუქციების მიცემა და ზეწოლა.“<sup>14</sup> საბოლოოდ, რეჟიმმა საერთო სასამართლოების სისტემის მიტაცება გაამყარა იმით, რომ უზენაეს სასამართლოში თავის ერთგულ მოსამართლეებს უკიდურესად კომპრომეტირებული პროცესის გავლით ნიშნავს.<sup>15</sup> გარდა ამისა, რეჟიმმა, საკონსტიტუციო სასამართლოზე კონტროლის დასამყარებლად, ორეტაპიანი სტრატეგია გამოიყენა - პირველ ეტაპზე, საკანონმდებლო მექანიზმებით შეაფერხა სასამართლოს მიერ სადავო საქმეების განხილვა, დამოუკიდებელი მოსამართლეების (მათ შორის, სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის) უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.<sup>16</sup> ამის შემდეგ კი ივანიშვილის რეჟიმმა ისარგებლა, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოში დანიშვნის ნაკლოვანი წესებით, ხოლო, მეორე მხრივ, პარლამენტსა და უზენაეს სასამართლოზე<sup>17</sup> კონტროლით და საკონსტიტუციო სასამართლოც რეჟიმის ერთგული მოსამართლეებით გაავსო.<sup>18</sup>

**iii. პროკურატურის პოლიტიზება:** პროკურატურაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები მიზნად ისახავდა ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარეგნული აღქმის შექმნას, თუმცა მორჩილი გენერალური პროკურორისა და საბჭოთა სტილის ხისტი იერარქიის მეშვეობით, პროკურატურას, რეალურად, ივანიშვილი სრულად აკონტროლებს.<sup>19</sup> პროკურორები პოლიტიკურ ამსრულებლებად გვევლინებიან - ისინი დევნიან რეჟიმის მოწინააღმდეგეებს<sup>20</sup> და პასუხისმგებლობას არიდებენ რეჟიმის ერთგულებს.<sup>21</sup>

**iv. სახელმწიფო უწყებების იარაღად გამოყენება:** ივანიშვილის რეჟიმმა ავტორიტარული კონტროლის გამყარება შეძლო სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აპარატის იარაღად გამოყენებით. ამ რეპრესიული მანქანის ორ უმთავრეს ინსტიტუტს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს) და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს). მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ფორმალურად დამოუკიდებელია, ორივე უწყება დაკომპლექტებულია რეჟიმის ერთგული კადრებით და საქმიანობას ახორციელებს რეალური დემოკრატიული ზედამხედველობის გარეშე, ივანიშვილის მიმართ პირდაპირი პირადი ანგარიშვალდებულების პრინციპზე დაყრდნობით.<sup>22</sup> ამ მხრივ, გამოსარჩევია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც თვალთვალისა და ძალმომრეობის ამსრულებელ ფართოდ დაქსელილ ორგანოდ ჩამოყალიბდა,<sup>23</sup> ასევე შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, რომელიც წამყვან როლს ასრულებდა დემონსტრანტების ძალისმიერი მეთოდებით დარბევაში.<sup>24</sup>

**v. საჯარო სამსახურისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების ხელში ჩაგდება:** ივანიშვილის რეჟიმმა საქართველოს საჯარო სამსახური პირად ერთგულებაზე დაფუძნებულ პოლიტიკური კონტროლის სისტემად აქცია. პროფესიონალიზაციის საფარვეტზე განხორციელებული რეფორმების შედეგად, საჯარო მოხელეებმა მიიღეს სამსახურებრივი უსაფრთხოების გარანტიები და სხვა სარგებელი, რომელთა გამოც ისინი მმართველ ძალაზე დამოკიდებული გახდნენ.<sup>25</sup> 2024 წლის საპროტესტო გამოსვლების შემდეგ, ეს გარანტიები მოიშალა და იმ პირებს, რომლებიც კრიტიკული აზრის მქონედ აღიქმებოდნენ, საჯარო სექტორში განხორციელებული მასობრივი წმენდა შეეხოთ.<sup>26</sup> პოლიტიკურ კონტროლს დაექვემდებარა ისეთი დამოუკიდებელი ინსტიტუტები, როგორებიცაა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია<sup>27</sup> და ეროვნული ბანკი.<sup>28</sup> ამით დასრულდა პროცესი და მერიტოკრატიული ბიუროკრატია საბოლოოდ გარდაიქმნა არსებული რეჟიმის ინტერესების მსახურ კლიენტელისტურ აპარატად.

**vi. ოპოზიციური პარტიებისა და ლიდერების დევნა:** 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, კამპანიის პერიოდში, ივანიშვილმა დადო პოლიტიკური პარტიების აკრძალვის პირობა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, მათ მიერ ჩადენილი რომელი დანაშაულის საფუძველზე აპირებდა ამის გაკეთებას.<sup>29</sup> 2025 წლის მაისში „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მიიღო კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს (რომელიც ასევე მითაცებულია მმართველი რეჟიმის მიერ) უფლებამოსილების გაფართოების შესახებ, რის შედეგადაც, პოლიტიკური პარტიების აკრძალვასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლო შეძლებს, პოლიტიკური საქმიანობა განუსაზღვრელი ვადით აუკრძალოს უკვე აკრძალული პარტიის საფუძველზე შექმნილ ახალ პარტიასა და მის ლიდერებს.<sup>30</sup> ამის შემდეგ, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მალე დარეგისტრირდება სარჩელი „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, „კოალიციას ცვლილებებისთვის“, „ძლიერ საქართველოს“ და პარტიას „გახარია საქართველოსთვის“.<sup>31</sup> გარდა ამისა, ივანიშვილის რეჟიმმა მკვეთრად უარყოფითი საერთაშორისო რეაქცია გამოიწვია, როცა ოპოზიციური ძალების რამდენიმე ცნობილი ოპოზიციონერი ლიდერი დააპატიმრა, რადგან მათ უარი თქვეს, გამოცხადებულიყვნენ საპარლამენტო კომისიაზე, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებისა და სხვა თანამდებობის პირების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებს იძიებს.<sup>32</sup>



**vii. საპროტესტო გამოსვლების ჩახშობა:** ივანიშვილის რეჟიმმა ძალისმიერი მეთოდებით ჩაახშო საპროტესტო გამოსვლები და მიიღო ფართო სადამსჯელო კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს პროტესტის მონაწილეებისთვის არაპროპორციულად მაღალი ჯარიმების დაკისრებას. ახალმიღებული კანონებით, იკრძალება სპონტანური შეკრებები, პროტესტის მონაწილეებს უწესდებათ მაღალი ჯარიმები, ადმინისტრაციული წესით ისჯება ხელისუფლების წარმომადგენლების „შეურაცხყოფა“, ხოლო პოლიცია უფლებამოსილია, პროტესტის მონაწილეები დააჯარიმოს სასამართლო კონტროლის გარეშე.<sup>33</sup> აღნიშნული საკანონმდებლო ზომები მკაცრად გააკრიტიკა „ვენეციის კომისიამ“<sup>34</sup> და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR).<sup>35</sup> გარდა ამისა, განსხვავებული აზრის ჩასახშობად, რეჟიმი ასევე ეყრდნობა თვალთვალის, ძალადობისა და უკანონო დაკავებების პრაქტიკებს, რაც ფართოდ დოკუმენტირებულია და დაგმობილია ადამიანის უფლებების მონიტორინგზე პასუხისმგებელი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის,<sup>36</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატისა<sup>37</sup> და გაეროს სპეციალური მომხსენებლების მიერ.<sup>38</sup> სასამართლოები რუტინულად ბეჭედს უსვამენ, გამონაკლისის გარეშე ადასტურებენ პოლიციის ქმედების კანონიერებას,<sup>39</sup> რითაც ქმნიან შიშის კლიმატს, საზოგადოებრივი მობილიზაციისთვის ხელის შესაშლელად.<sup>40</sup>

**viii. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიზანში ამოღება:** სამოქალაქო საზოგადოების განადგურებისა და სტიგმატიზების მიზნით, ივანიშვილის რეჟიმმა მიიღო რუსული სტილის კანონები „უცხოეთის აგენტების შესახებ“. ქართული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონი“ და „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ მძიმე სარეგისტრაციო და საანგარიშო მოთხოვნებს უწესებს უცხოური დაფინანსების მიმღებ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, კანონი მძიმე ჯარიმებს ითვალისწინებს. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის აქტით“ გათვალისწინებულია არაპროპორციულად მაღალი ჯარიმები,<sup>41</sup> ხოლო „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“, არაპროპორციულად მაღალ ჯარიმებთან ერთად, ასევე ითვალისწინებს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.<sup>42</sup> ორივე კანონმა მწვავე საერთაშორისო კრიტიკა დაიმსახურა, მათ შორის, „ვენეციის კომისიის“<sup>43</sup> და „არასამენარმეო სამართლის საერთაშორისო ცენტრის“ მხრიდან.<sup>44</sup> 2025 წლის ივნისში რამდენიმე ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც მათ ავალდებულებს ინფორმაციის ფართო სპექტრის, მათ შორის, სენსიტიური შინაარსის შემცველი პირადი ინფორმაციის მიწოდებას ანტიკორუფციული ბიუროსთვის, „უცხოური აგენტების რეგისტრაციის“ აქტის, გრანტების შესახებ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაძლო დარღვევის<sup>45</sup> გამოსავლენად, რომელთა შეუსრულებლობა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს (მათ შორის, თავისუფლების აღკვეთას ორი წლის ვადით). აღნიშნულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უარი განაცხადეს დაკისრებული მოთხოვნების შესრულებაზე, ხოლო სასამართლოს ბრძანებები უკანონოდ და ბენეფიციარების დაცვის ვალდებულების დარღვევად შეაფასეს.<sup>46</sup> ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა და Amnesty International-მა შეშფოთება გამოხატეს და აღნიშნეს, რომ მსგავსი მოთხოვნები, რომლებიც არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.<sup>47</sup>

**ix. ლგბტქი+ თემების მიზანში ამოღება:** „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ანტილგბტქი+ კანონმდებლობა, რომლითაც აიკრძალა არაჰეტერონორმატიული იდენტობების „პოპულარიზაცია“ და შეიზღუდა მასთან დაკავშირებული სიტყვისა და შეკრების თავისუფლება.<sup>48</sup> აღნიშნული კანონები, რომლებიც დაგმო „ვენეციის კომისიამ“,<sup>49</sup> ეუთო/ODIHR-მა<sup>50</sup> და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა,<sup>51</sup> მიმართულია დაუცველი ჯგუფების საზოგადოებიდან გარიყვისა და ავტორიტარული კონტროლის გამყარებისკენ.

**x. დამოუკიდებელი მედიის პროპაგანდისტული მედიით ჩანაცვლება:** რეჟიმმა საქართველოს მედიალანდშაფტი პროპაგანდისტულ ინსტრუმენტად აქცია. „ქართული ოცნების“ ერთგული მედიასაშუალებები, როგორცაა ტელეკომპანია „იმედი“, სახელმწიფო რესურსების ხელშეწყობით,<sup>52</sup> სამაუწყებლო სივრცეში გაბატონებული პოზიციებით სარგებლობს მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი მედია დგას ფინანსური მოგუდვის, მარეგულირებელი ორგანოების მიერ შევიწროებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის წინაშე.<sup>53</sup> კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია გარდაიქმნა განსხვავებული ხმების გაჩუმების იარაღად,<sup>54</sup> ხოლო საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ რეჟიმის მიერ კონტროლდება.<sup>55</sup> მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი უახლესი ცვლილებები კიდევ უფრო აძლიერებს რეჟიმის კონტროლს, რადგან მაუწყებლებს უკრძალავს უცხოური დაფინანსების მიღებას, ხოლო კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის უფლებამოსილება კიდევ უფრო გაფართოვდა და მას მაუწყებლობის შინაარსზე მკაცრი შეზღუდვების დანესების უფლებაც მიენიჭა.<sup>56</sup> 2025 წლის ივნისში „ქართულმა ოცნებამ“ სარჩელი შეიტანა ოპოზიციური ტელეარხების წინააღმდეგ, ე.წ. „ანტისახელისუფლებო რიტორიკის“<sup>57</sup> გამოყენებასთან დაკავშირებით. ზემოხსენებული ტაქტიკები უზრუნველყოფს საინფორმაციო ნარატივზე სრულ დომინანტურობას როგორც არჩევნების წინ, ისე კრიზისულ პერიოდებში.

**xi. აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა:** საქართველოს უნივერსიტეტებისა და სკოლების დამორჩილება განხორციელდა პოლიტიზებული ზედამხედველობის, დაფინანსების წყაროების დაკეტვის მექანიზმებისა და პირდაპირი დაშინების მეშვეობით. შესაბამისი ანგარიშების თანახმად, რეჟიმის მიმართ კრიტიკულად განწყობილი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასასჯელად გამოყენებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი,<sup>58</sup> ხოლო ევროპულმა სააკრედიტაციო ორგანოებმა გადაწყვიტეს ამ ცენტრისთვის რეგისტრაციის შეწყვეტა, მათ შორის, მისი დამოუკიდებლობის ნაკლებობასთან დაკავშირებული წუხილების გათვალისწინებით.<sup>59</sup> აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ხშირად ხდებიან შევიწროების, თვალთვალისა და კრიტიკული აზრის გამო, დათხოვნის მსხვერპლი.<sup>60</sup>

ივანიშვილის რეჟიმის მიერ დემოკრატიული ინსტიტუტების სისტემატური დემონტაჟის პარალელურად, ქვეყანამ კურსი აიღო რუსეთთან, ჩინეთსა და ირანთან დაახლოებაზე.<sup>61</sup> მიუხედავად იმისა, რომ რეჟიმის რეპრესიული ზომები საერთაშორისო საზოგადოებამ მკაცრად დაგმო, „ქართული ოცნების“ ავტორიტარულ კონსოლიდაციასთან საბრძოლველად, საჭიროა უფრო ძლიერი და უფრო მეტად კოორდინირებული საერთაშორისო რეაქცია.

2025 წლის თებერვალში ევროპის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც უარს აცხადებს „ქართული ოცნების“ მთავრობის ლეგიტიმურად ცნობაზე და მოუწოდებს „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირებისა და ლიდერებისთვის, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილისთვის,<sup>62</sup> სანქციების დანესებისკენ. ამასთან, ევროპის კავშირის



გადაწყვეტილების მიუხედავად, შეეჩერებინა უვიზო მიმოსვლა ქართველი ოფიციალური პირებისთვის,<sup>63</sup> ევროპის კავშირის ინდივიდუალურ სანქციებს ქართველი ოფიციალური პირების წინააღმდეგ, უნგრეთი და სლოვაკეთი ბლოკავენ.<sup>64</sup>

ევროპის კავშირის რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირების მიმართ მიზნობრივი სანქციები დააწესა. კერძოდ, ასეთი ტიპის სანქციები შემოიღეს ბალტიის ქვეყნებმა, ჩეხეთის რესპუბლიკამ და გერმანიამ. სანქციები, ძირითადად, ითვალისწინებს ქვეყანაში შესვლის აკრძალვას რეპრესიული აპარატის თანამდებობის პირებისა და ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებისთვის.<sup>65</sup>

საქართველოში 2024 წლიდან მიმდინარე ლეგიტიმურ საპროტესტო გამოსვლების პასუხად, ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების დაშვების გამო, გაერთიანებულმა სამეფომ ქართველ თანამდებობის პირებს (თუმცა არა - ბიძინა ივანიშვილს) აქტივები გაუყინა და გაერთიანებულ სამეფოში შესვლა აუკრძალა.<sup>66</sup> კანადამ განაცხადა, რომ „დააწესებს სანქციებს საკვანძო პირების, ასევე, იმ კომპანიებისა და სუბიექტების მიმართ, რომლებიც საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევაში ან კორუფციაში არიან ჩართული“.<sup>67</sup> უკრაინამ ასევე ქვეყანაში შესვლა აუკრძალა ქართველ თანამდებობის პირებსა და ბიზნესმენებს, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილს და მათი აქტივები გაყინა.<sup>68</sup>

2025 წლის ივნისში, საქართველოში „უცხოური აგენტების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, კანადამ, ისლანდიამ, ლიხტენშტაინმა, ნორვეგიამ და გაერთიანებულმა სამეფომ გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც „ღრმა შეშფოთება“ გამოხატეს და აღნიშნულ კანონს უწოდეს „მნიშვნელოვანი უკუსვლა დემოკრატიული მმართველობის, სამოქალაქო თავისუფლებებისა და საქართველოს მიერ გაცხადებული ევროპული მისწრაფებების თვალსაზრისით.“<sup>69</sup> 2025 წლის ივლისში, ევროპული პარლამენტის მიერ საქართველოს შესახებ კრიტიკული შინაარსის პროგრესის ანგარიშის მიღების შემდეგ, ევროპული დემოკრატიული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა და ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც მოცემულია გაფრთხილება, რომ ისინი „არ მოერიდებიან, გამოიყენონ მათ ხელთარსებული ცალმხრივი და მრავალმხრივი ბერკეტების სრული სპექტრი, თუკი საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც ძირს უთხრის დემოკრატია და ადამიანის უფლებების პატივისცემას საქართველოში.“<sup>70</sup> „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა საბჭომ, ზემოხსენებულ განცხადებაზე პასუხად, აღნიშნა, რომ ეს წარმოადგენს „კიდევ ერთ აშკარა და უსამართლო თავდასხმას ქართველი ხალხისა და ქართული დემოკრატიის წინააღმდეგ“ და ევროპის კავშირი დაადასტურა იმაში, რომ ის ე.წ. „ღრმა სახელმწიფოს“ (Deep State) მიერ იმართება.<sup>71</sup>

2024 წელს ბაიდენის ადმინისტრაციამ შეაჩერა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა ხოლო ბიძინა ივანიშვილსა და „ქართული ოცნების“ სხვა მაღალჩინოსნებს აქტივები გაუყინა, ასევე, დააწესა სხვა შეზღუდვები მათთან ბიზნესურთიერთობებზე.<sup>72</sup> 2025 წლის მაისში აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ დიდი უმრავლესობით მიიღო ორპარტიული კანონპროექტი „MEGOBARI“ აქტი, რომლის მიზანია სანქციების დაწესება იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საქართველოში დემოკრატიის ძირის გამოთხრასა და ადამიანის უფლებების დარღვევაზე.<sup>73</sup> აღნიშნული კანონპროექტი ამჟამად აშშ-ის სენატში განიხილება.<sup>74</sup>

ქართული დემოკრატიის მომავლის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს „MEGOBARI“ აქტის ბედი, ისე, როგორც სხვა მთავრობებისა და ევროპული და საერთაშორისო

ორგანიზაციების ძალისხმევა. როგორც ქვემოთ არის შეჯამებული, ეს ანგარიში მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, მნიშვნელოვნად გაამკაცროს პასუხი ივანიშვილის რეჟიმის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაციის წინააღმდეგ და ქართველი ხალხის დემოკრატიული მისწრაფებების მხარდასაჭერად.

## **მოუწოდებთ ივანიშვილის რეჟიმს:**

1. იკისროს ვალდებულება, იმოქმედოს დემოკრატიის აღსადგენად, გამჭვირვალე გზამკვლევის მიხედვით, რაც გულისხმობს პოლიტიკურ დიალოგს ოპოზიციურ პარტიებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო პარტნიორებთან და ახალი, თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების გამართვის ვადების დადგენას;
2. დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სახელმწიფო ინსტიტუტების გამოყენება პოლიტიკური რეპრესიებისთვის, რაც მოიცავს უკანონო დაკავებებისა და თვალთვალის შეჩერებას, გამოხატვის თავისუფლებაზე დანესებული შეზღუდვების მოხსნასა და პროტესტის მონაწილეების, ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ არასათანადო მოპყრობასა და დაშინებაზე უარის თქმას;
3. დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის, ოპოზიციის ლიდერები, ჟურნალისტები და საპროტესტო აქციებში მონაწილეები;
4. შეასრულოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ვენეციის კომისიის, ასევე, გაეროს სპეციალური მომხსენებლებისა და ODIHR-ის გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები.
5. აღადგინოს ნდობა არჩევნების მიმართ და საარჩევნო პროცესის წესიერება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, საარჩევნო დავებზე ეფექტიანი სასამართლო კონტროლის დანერგვისა და სარწმუნო რეპუტაციის მქონე საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლების მოწვევის გზებით;
6. დაიწყოს სასამართლო დამოუკიდებლობის აღდგენისკენ მიმართული არსებითი რეფორმა, რაც ასევე მოიცავს სასამართლო შტოში თანამდებობებზე დანიშვნების გამჭვირვალე პრაქტიკის დანერგვას.

## **რეკომენდაციები სხვა სახელმწიფოების მთავრობებს:**

1. აშშ-ის კონგრესსა და მთავრობას: გააგრძელეთ და გააფართოვეთ მიზნობრივი სანქციების (აქტივების გაყინვა და მგზავრობის აკრძალვა) დანესება საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ძირის გამოთხრაზე პასუხისმგებელი ცალკეული პირებისა და სუბიექტების, მათ შორის, ივანიშვილის, მისი ბიზნესების, ხელშემწყობებისა და „ქართული ოცნების“ სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ;
2. გაერთიანებული სამეფოსა და სხვა ქვეყნების მთავრობებს: გააფართოვეთ მიზნობრივი სანქციები (აქტივების გაყინვა და მგზავრობის აკრძალვა), საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ძირის გამოთხრაზე პასუხისმგებელი ცალკეული პირებისა და სუბიექტების, მათ შორის, ივანიშვილის, მისი ბიზნესების, ხელშემწყობებისა და „ქართული ოცნების“ სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ;

3. მსგავსი პოზიციების მქონე სახელმწიფოებმა შექმნან სანქციების კოორდინაციის ერთობლივი მექანიზმი, რომელმაც უზრუნველყოს აღსრულების თანმიმდევრულობა და ხარვეზების პრევენცია;
4. საჯაროდ გამოცხადდეს, რომ ორმხრივი თანამშრომლობა და დახმარება დამოკიდებული იქნება დემოკრატიული კრიტერიუმების შესრულებაზე, როგორებიცაა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, რეპრესიული კანონების გაუქმება და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის აღდგენა.

## **რეკომენდაციები ევროპის კავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს**

1. დაწესდეს ევროპის კავშირის კოორდინირებული სანქციები, მათ შორის, ევროპის კავშირის ადამიანის გლობალური უფლებების სანქციების მექანიზმის გამოყენებით, საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ძირის გამოთხრაზე პასუხისმგებელი ცალკეული პირებისა და სუბიექტების, მათ შორის, ივანიშვილის, მისი ბიზნესების, ხელშემწყობებისა და „ქართული ოცნების“ სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ;
2. ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს: გააფართოვეთ მიზნობრივი სანქციები (აქტივების გაყინვა და გადაადგილების აკრძალვა), საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ძირის გამოთხრაზე პასუხისმგებელი ცალკეული პირებისა და სუბიექტების, მათ შორის, ივანიშვილის, მისი ბიზნესების, ხელშემწყობებისა და „ქართული ოცნების“ სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ.

## **რეკომენდაციები ევროპის საბჭოს**

1. შეინარჩუნეთ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის აკრედიტაციასთან დაკავშირებული პირობები და არ დაუშვათ სრული მონაწილეობის უფლების მინიჭება იქამდე, სანამ რეჟიმი არ დაადასტურებს, რომ ასრულებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.
2. ვენეციის კომისიას დაევალოს უკანასკნელ პერიოდში მიღებული რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებების სრული და კომპლექსური სამართლებრივი ექსპერტიზა, მათ შორის, იმ ცვლილებების, რომლებიც ეხება სამოქალაქო საზოგადოებას, დამოუკიდებელ მედიას, პროტესტის უფლებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობას.
3. დაინიშნოს სპეციალური მომხსენებელი, ან შეიქმნას სადამკვირვებლო მისია, რომელიც შეაფასებს ადგილზე არსებულ ვითარებას ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას რეგულარულად წარუდგენს შესაბამის ანგარიშს.
4. მხარი დაუჭირეთ ქართული სამოქალაქო საზოგადოების წვდომას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და მიიღეთ ზომები, რომ მინისტრთა კომიტეტმა განახორციელოს სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და დროებითი ზომების აღსრულების ზედამხედველობა და ხელშეწყობა.



## რეკომენდაციები გაეროს ორგანოებს და სხვა მრავალეროვნულ ინსტიტუტებს

1. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ უნდა დანიშნოს სპეციალური მომხსენებელი, ან შექმნას ფაქტების დამდგენი მისია, რომელიც გამოიძიებს საქართველოში, განსაკუთრებით, 2024 წლიდან, მომხდარ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევის შემთხვევებს.
2. გაეროს შესაბამისმა სპეციალურმა მომხსენებლებმა უნდა განახორციელონ მონიტორინგი საკუთარი მანდატით გათვალისწინებულ მიმართულებებზე და სწრაფად მიმართონ საქართველოს იმ საკითხებზე, რომლებიც შეშფოთების საგანია.
3. საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებმა (როგორებიცაა, მაგალითად, ევროპის საინვესტიციო ბანკი, მსოფლიო ბანკი და აზიის განვითარების ბანკი) უნდა შეწყვიტონ საქართველოს სუვერენული კრედიტით უზრუნველყოფა და დაფინანსების განახლების პირობად უნდა დააყენონ საქართველოს მიერ კარგი მმართველობისა და სამართლის უზენაესობის კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

# I. შესავალი

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, ქართული დემოკრატია მუდმივი თავდასხმის ქვეშაა, რაც სულ უფრო მეტად ნაცნობი სქემის მიხედვით ხორციელდება: დემოკრატიული ინსტიტუტების გამოყენება ძალაუფლების მოსაპოვებლად, შემდეგ კი ამავე ინსტიტუტების სისტემური მანიპულაცია კონტროლის გასამყარებლად. საქართველოში 2024 წლის ოქტომბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში დაფიქსირებულმა დარღვევებმა, ევროპის კავშირთან განეზრების შესახებ მოლაპარაკების შეწყვეტის გამო, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ დაწყებულმა მასშტაბურმა საპროტესტო გამოსვლებმა და რეჟიმის მიერ განსხვავებული აზრის ფართომასშტაბიანმა ჩახშობამ, აღნიშნული ტრაექტორია განსაკუთრებული საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოაქცია. ამჟამად მოქმედი რეპრესიული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორცაა პროტესტის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დამოუკიდებელი მედიისა და ლგბტქი+ თემის შემზღვეველი კანონები, 2024 წლიდან მიიღეს, თუმცა პროცესი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს ავტორიტარული მიტაცება ხორციელდება, უკვე მრავალი წელი მიმდინარეობს.<sup>75</sup>

აღნიშნული დოკუმენტი აღწერს ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში განხორციელებული ავტორიტარული კონსოლიდაციის ძირითად ელემენტებს და ამ პროცესის საწინააღმდეგო საერთაშორისო ძალისხმევის კუთხით არსებულ მდგომარეობას. ანგარიშში განხილულია როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების რესტრუქტურზაცია, ისე ივანიშვილის რეჟიმის მიერ გამოყენებული პოლიტიკური კონტროლის სხვა ინსტრუმენტები. წინამდებარე ანალიზი ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერის შემცირების მიუხედავად, მმართველი რეჟიმი ძალაუფლების შენარჩუნებას ახერხებს ინსტიტუტების მანიპულაციისა და სისტემური რეპრესიების მეშვეობით.<sup>76</sup> ივანიშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოს განვითარების ტრაექტორია იმეორებს სხვა ავტორიტარული რეჟიმების მიერ გამოყენებულ ქარგებს, როცა ლიდერები ძალაუფლებას დემოკრატიული ინსტიტუტების მიტაცებისა და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დაწესებული შემზღვეველის გაუქმების გზით იმყარებენ, როგორც, მაგალითად, ვლადიმირ პუტინის რუსეთი, ვიქტორ ორბანის უნგრეთი და რეჯებ ტაიფ ერდოღანის თურქეთი.<sup>77</sup>

„ქართული ოცნების“ რეპრესიული ტაქტიკის ფართო საერთაშორისო დაგმობის მიუხედავად, მიმდინარე ავტორიტარულ კონსოლიდაციასთან საბრძოლველად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გაზრდილ და კოორდინირებულ საერთაშორისო ზეწოლას.

## II. დემოკრატიის მშენებლობა: კოსტსაბჭოთა საქართველო

კოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური განვითარება დემოკრატიული მისწრაფებებისა და ინსტიტუციური სიმყიფის ციკლებით ხასიათდება. 1991 წელს, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანამ ტურბულენტური გარდამავალი პერიოდი გამოიარა. ზვიად გამსახურდიას ხანმოკლე პრეზიდენტობა სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა, ხოლო მის შემდეგ მოსული ედუარდ შევარდნაძის მმართველობის (1992-2003) პერიოდი გამორჩეული იყო სუსტი ინსტიტუტებით, ანგარიშვალდებულების დაბალი დონითა და მუდმივი კორუფციით.<sup>78</sup> ამ ვითარებამ საზოგადოებაში რეფორმებისა და დემოკრატიულ ნორმებთან დაახლოების მოთხოვნა გააჩინა. აღნიშნული მისწრაფებების შესასრულებლად, 1999 წლის აპრილში საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის რატიფიცირება განახორციელა.<sup>79</sup>

საქართველოსთვის გარდამტეხ მოვლენას წარმოადგენდა 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“, რომელიც ევრაზიის მასშტაბით მომხდარი ერთ-ერთი პირველი „ფერადი რევოლუცია“ იყო.<sup>80</sup> პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ არჩევნების გაყალბებისა და უკანონოდ არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის მცდელობის წინააღმდეგ, თბილისის ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა,<sup>81</sup> რამაც ნათლად აჩვენა ქვეყნის დემოკრატიული პროგრესის შეფერხებით გამოწვეული ფართო უკმაყოფილება.

2004 წლის იანვარში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა,<sup>82</sup> რომლის ხელისუფლებამ ენერგიულად დაიწყო სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის, ეკონომიკური განვითარებისა და დასავლეთთან ინტეგრაციის პოლიტიკის გატარება.<sup>83</sup> მისი მმართველობის პერიოდში ასევე გატარდა ანტიკორუფციული ზომები და განხორციელდა საჯარო სამსახურების მოდერნიზაცია, რამაც უზრუნველყო საერთაშორისო ყურადღების მიპყრობა და ხელი შეუწყო შიდა მხარდაჭერის გაზრდას.<sup>84</sup> თუმცა აღნიშნულ რეფორმებს თან ახლდა აღმასრულებელი შტოს ძალაუფლების გაძლიერება და ინსტიტუციური შემაკავებელი მექანიზმების შესუსტება. ამას გარდა, საქართველოს პროდასავლურმა ორიენტაციამ გამოიწვია რუსეთის მხრიდან სულ უფრო მზარდი მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბება.<sup>85</sup>

2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ, როდესაც საქართველომ ალიანსის წევრობის დაპირება მიიღო, რუსეთმა საქართველოში სამხედრო აგრესია განახორციელა, რაც მიზნად ისახავდა როგორც საქართველოს დასავლეთთან მჭიდრო დაახლოების, ისე დემოკრატიული და ინსტიტუციური პროგრესის შეფერხებას.<sup>86</sup> სააკაშვილის პრეზიდენტობის წყალგამყოფი მოვლენა აღმოჩნდა რუსეთ-საქართველოს ომი, რომლის შემდეგაც, მან აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში ძალაუფლება უფრო მეტად მოაქცია, რამაც დემოკრატიული ინსტიტუტები დააზარალა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მიერ დემოკრატიული პრინციპების ერთგულების შენარჩუნების მიუხედავად, რასაც, ნაწილობრივ, დასავლურ მხარდაჭერაზე დამოკიდებულება განაპირობებდა,<sup>87</sup> საზოგადოებრივი უკმაყოფილება გაიზარდა. 2009 და 2011 წლებში გამართული მასშტაბური



საპროტესტო გამოსვლები ნათლად მიუთითებდა ხელისუფლების ავტორიტარული ტენდენციებით გამოწვეულ მზარდ უკმაყოფილებაზე.

მზარდი პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, ქართულ პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება მიიღო ფრანგული პასპორტის მფლობელმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც საკუთარი ქონება რუსეთში დააგროვა. ბიძინა ივანიშვილმა პარტია „ქართული ოცნება“<sup>88</sup> დააფუძნა და განაცხადა, რომ კურსს აიღებდა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების გზით საქართველოს საგარეო პოლიტიკის გარდაქმნაზე.<sup>89</sup> 2012 წლის ოქტომბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, რაც ფართოდ იქნა აღქმული სააკაშვილის მმართველობაზე უარის თქმად, განსაკუთრებით, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე ციხეებში მომხდარი წამების სკანდალის ფონზე. მაშინდელი ხელისუფლება, ქვეყნის სასჯელაღსრულების დანესებულებებში პატიმართა წამების მასშტაბურად გავრცელებული პრაქტიკის გამო, კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა.<sup>90</sup>

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე იკავებდა. ამის შემდეგ, თანამდებობა ოფიციალურად დატოვა. თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გადადგომის შემდეგ, ივანიშვილმა ქვეყნის მართვა დე-ფაქტო გააგრძელა, რაც გამოიხატებოდა მისი მხრიდან „ქართული ოცნებისა“ და პოლიტიკური დანიშვნების კონტროლში.<sup>91</sup> მაგალითად, პარტია „ქართული ოცნების“ წესდება ივანიშვილს აძლევს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, დაასახელოს პარტიის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი.<sup>92</sup> უფრო ზოგადად კი, მისი გავლენა სრულად ვრცელდება პარტიული გადაწყვეტილების მიღების ყველა ასპექტზე.<sup>93</sup>

ივანიშვილმა შეძლო პერსონალისტური რეჟიმის კონსოლიდაცია<sup>94</sup> და 2024 წლისთვის საქართველო ელექტორალურ ავტოკრატიად გარდაქმნა.<sup>95</sup> ამ შედეგის მისაღწევად, ის მოქმედებდა პოპულისტი ავტორიტარი ლიდერების, როგორცაა, მაგალითად, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი, მსგავსი „თამაშის წესებით“.<sup>96</sup>

# III. ავტორიტარიზმის ანატომია საქართველოში

„ქართული ოცნების“ მმართველმა რეჟიმმა ავტორიტარული ძალაუფლების გამყარება მოახერხა არჩევნების მანიპულაციის, სასამართლო ხელისუფლების მიტაცების, პროკურატურის პოლიტიზების, სახელმწიფო უწყებების იარაღად ქცევის, საჯარო სამსახურისა და დამოუკიდებელი უწყებების ხელში ჩაგდების, ოპოზიციური პარტიებისა და ლიდერების დევნის, პროტესტის ჩახშობის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ლგბტქი+ თემების მიზანში ამოღების, დამოუკიდებელი მედიის პროპაგანდისტული მედიით ჩანაცვლებისა და აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის მეშვეობით. ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული ელემენტების ანალიზი:

## i) საარჩევნო მანიპულაცია

პოსტსაბჭოთა საქართველოში საარჩევნო მანიპულაცია, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, პოლიტიკური ლიდერებისთვის დომინანტური მდგომარეობის გამყარების მთავარ გზას წარმოადგენდა.<sup>97</sup> 1995 წლის კონსტიტუციის შესაბამისად, სრული პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება საჭიროებდა სამი სხვადასხვა ტიპის (საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის) არჩევნებში გამარჯვებას.

თუმცა, მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ფართომასშტაბიან გამარჯვებას მიაღწია, მმართველმა პარტიამ, პარლამენტში შექმნილი ერთპარტიული საკონსტიტუციო უმრავლესობის მეშვეობით, შეძლო საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება 2017-2018 წლებში, რის საფუძველზეც, საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე გადასვლის საბაბით, გაუქმდა პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები,<sup>98</sup> ხოლო საპარლამენტო არჩევნებმა, საქართველოს პოლიტიკური ძალაუფლების სისტემაზე კონტროლის დამყარებისთვის, საკვანძო მნიშვნელობა შეიძინა.

2012 წელს, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა, საპარლამენტო არჩევნების საკანონმდებლო ჩარჩო იძლეოდა მრავალპარტიული კონკურენციის შესაძლებლობას, თუმცა სისტემური ნაკლოვანებები ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მმართველ პარტიას.<sup>99</sup>

ტრადიციული საარჩევნო სისტემა (რომელიც ცნობილია „პარალელური ხმის მიცემის სისტემის“ სახელით) შედგებოდა ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებისგან და პროპორციული/სიითი წარმომადგენლობის კომპონენტისგან.<sup>100</sup> ასეთ სისტემაში, პარტიის მიერ მოპოვებული საპარლამენტო მანდატების რაოდენობა შეადგენდა მაჟორიტარულ ოლქში მოპოვებული და პარტიის პროპორციული სიებიდან მიღებული მანდატების არითმეტიკულ ჯამს. ამგვარი მექანიზმი მმართველ პარტიას, მიღებული ხმების რაოდენობასთან შეფარდებით, არაპროპორციულად დიდი რაოდენობით მანდატების მოპოვების შესაძლებლობას აძლევდა, რადგან პროპორციული კომპონენტით არჩეულ წევრებს ასევე ემატებოდა მაჟორიტარულ ოლქებში მოპოვებული მანდატები, სადაც მმართველი პარტია, როგორც წესი, დიდ უპირატესობას ფლობდა.

საარჩევნო რეფორმის მოთხოვნით, პოლიტიკური ზეწოლის შედეგად, ივანიშვილი იძულებული გახდა, 2020 წელს შემოეღო უფრო მეტად პროპორციული საარჩევნო სისტემა

და დაეთმო მცირედი სტრუქტურული უპირატესობა.<sup>101</sup> 2024 წელს არჩევნების სრულად პროპორციული სისტემა ამოქმედდა.<sup>102</sup>

აღნიშნულის მიუხედავად, იმ ფართო მხარდაჭერის შესუსტების ფონზე, რომლითაც „ქართული ოცნება“ თავდაპირველად სარგებლობდა, რეჟიმმა არჩევნების სულ უფრო ღიად მანიპულაციას მიჰყო ხელი. ეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოჩნდა. ეუთო-ს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის“ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ არჩევნები შეაფასა, როგორც კონკურენტუნარიანი, თუმცა ხაზი გაუსვა „ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ ფართოდ გავრცელებულ ბრალდებებს და მმართველ პარტიას და სახელმწიფოს შორის არსებული გამყოფი ხაზის ბუნდოვანებას“, მათ შორის, „ადგილზე პარტიებთან აფილირებული ისეთი სადამკვირვებლო ჯგუფების დიდი რაოდენობით კონცენტრირებას, რომლებიც დროდადრო პროცესში ერეოდნენ“ იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც მისიის წარმომადგენლები დაკვირვებას ახორციელებდნენ.<sup>103</sup> უფრო მეტად კრიტიკული შეფასება ჰქონდა „ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს“, რომელიც შენიშნავდა „სავარაუდო დარღვევებს შედეგების შემაჯამებელ ოქმებში, ფართოდ გავრცელებულ ცნობებს ამომრჩევლის დაშინებაზე... შედეგების დაგვიანებით გამოქვეყნებას და საარჩევნო კამპანიის პერიოდში მუდმივი დარღვევების აღქმას“.<sup>104</sup> რვა ოპოზიციურმა პარტიამ უარი განაცხადა არჩევნების შედეგების აღიარებაზე, არჩევნების მასშტაბური გაყალბების საფუძველით, ხოლო შვიდმა პარტიამ სასამართლოში წარუმატებლად გაასაჩივრა არჩევნების საბოლოო შედეგები.<sup>105</sup> ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებმაც შეძლეს საპარლამენტო ადგილების მოპოვება, უარი თქვეს მანდატებზე და პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადეს.<sup>106</sup> „ქართულ ოცნებას“ და ოპოზიციურ პარტიებს შორის შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2021 წელს, ევროპის კავშირის ხელმძღვანელობით წარმართული საშუაშავლო ძალისხმევის შედეგად, როდესაც ოპოზიციამ თანხმობა განაცხადა პარლამენტში შესვლაზე, თუმცა ორმა უმსხვილესმა ოპოზიციურმა პარტიამ, სააკაშვილის „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ევროპულმა საქართველომ“ უარი თქვეს შეთანხმების ხელმოწერაზე.<sup>107</sup> დოკუმენტის ხელმოწერიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ ცალმხრივად დატოვა შეთანხმება.<sup>108</sup>

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა მნიშვნელოვნად გაამყარა მმართველი რეჟიმის მიერ კიდევ უფრო აშკარა საარჩევნო მანიპულაციის ტენდენცია.<sup>109</sup> საზოგადოებრივი აზრის კვლევის წამყვანმა ამერიკულმა კომპანია HarrisX-მა, რომელმაც 12,000 ქართველი ამომრჩევლის გამოკითხვის საფუძველზე, ეგზიტპოლი აწარმოა, დაასკვნა, რომ სტატისტიკურად შეუძლებელია, დამდგარიყო არჩევნების ისეთი საბოლოო შედეგები, რომლებიც საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარადგინა. განსაკუთრებით მაშინ თუ მას შევადარებდით HarrisX-ის მიერ ჩატარებულ მეთოდოლოგიურად მძლავრ ეგზიტპოლს.<sup>110</sup> გარდა ამისა, სხვა რაოდენობრივი აკადემიური ანალიზის საფუძველზეც, გამოითქმება ვარაუდი, რომ იყო ფართომასშტაბიანი საარჩევნო მანიპულაცია.<sup>111</sup>

საარჩევნო მანიპულაცია რამდენიმე ტიპის ტექნიკას მოიცავდა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ პირადობის მონმობების სავერიფიკაციო აპარატების კონტროლმა, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო არჩევნების გაყალბებას ე.წ. „კარუსელის“ მეშვეობით, რომლის ფარგლებშიც, ცალკეული პირები, პირადობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტებით, ხმას რამდენჯერმე, სხვადასხვა უბანზე, აძლევდნენ.<sup>112</sup> აღნიშნული ეჭვები გაამყარა აშკარა დარღვევებმა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მკვეთრი გენდერული დისბალანსი ზოგიერთ საარჩევნო უბანზე, სადაც არჩევნების დღეს მისული მამაკაცი



ამომრჩევლების რაოდენობა აღემატებოდა ამავე უბანზე დარეგისტრირებული მამაკაცი ამომრჩევლების საერთო რიცხვს.<sup>113</sup>

ამასთან, ეუთო/ODIHR-ის დასკვნის თანახმად, „ხშირად ირღვეოდა ხმის მიცემის ფარულობა“.<sup>114</sup> დაფიქსირდა მრავალი ინციდენტი, როდესაც უცნობი პირები ან პარტიის წარმომადგენლები თვალს ადევნებდნენ ამომრჩევლებს საარჩევნო უბნებსა და მათ მიმდებარედ და საარჩევნო ყუთები და კაბინები ვიდეოკამერებით კონტროლდებოდა.<sup>115</sup> ამგვარმა თვალთვალმა ზენოლა მოახდინა ამომრჩეველთა იმ სეგმენტზე, რომლის მობილიზება ივანიშვილის რეჟიმმა განახორციელა და უზრუნველყო მათ მიერ „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემა, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციური განწყობების მქონე ამომრჩევლებს ხელი შეუშალა მათთვის მისაღები კანდიდატისთვის ხმის მიცემაში.<sup>116</sup> კვლევების თანახმად, ამომრჩევლების იძულებით ქცევას, რომ მისაღები კანდიდატის ნაცვლად, ხმა სხვა კანდიდატს მისცენ, განაპირობებს რწმენა არჩევანის ფარულობის დარღვევის შესახებ.<sup>117</sup>

დამატებით, არსებული სარწმუნო ცნობებით, ივანიშვილის რეჟიმმა, სახელმწიფო მონაცემთა ბაზებიდან ამოღებული და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, შექმნა ამომრჩეველთა პროფილები, რამაც შესაძლებელი გახდა მათ მიმართ დაშინების ან წახალისების ტაქტიკების გამოყენება, „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემის მიზნით.<sup>118</sup> პირადი ინფორმაციის ასეთი მიზნებით მოპოვება და დამუშავება პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.<sup>119</sup>

ეუთო/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ასევე გამოავლინა ხარვეზები არჩევნების შემდგომ, საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით. საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საერთო ჯამში, კენჭისყრის დღის შემდეგ, საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მიერ საჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესმა შეზღუდა ჯეროვანი სამართლებრივი პროცესის უფლება, ვერ უზრუნველყო ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა და სრულყოფილად არ უპასუხა არჩევნების შედეგების სანდოობასთან დაკავშირებულ, ფართოდ გავრცელებულ, შეშფოთებას.“<sup>120</sup> მასშტაბური საარჩევნო დარღვევების გათვალისწინებით, რომელთა გამოსასწორებლად ნაბიჯები არ გადადგმულა, ევროპის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს ჩატარებულ არჩევნებს, როგორც „არც თავისუფალს და არც სამართლიანს“ და მოითხოვს ახალი არჩევნების გამართვას.<sup>121</sup>

## ii) სასამართლოს მითაცება

საქართველოს სასამართლო შტო შედგება საერთო სასამართლოების სისტემისგან, რომელიც, თავის მხრივ, შედგება მაგისტრატი სასამართლოებისგან, რაიონული სასამართლოებისგან, სააპელაციო სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოსგან, რომელიც ასრულებს საკასაციო სასამართლოს ფუნქციას სამართლებრივ საკითხებზე. ამას გარდა, სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლო პასუხისმგებელია საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის განხორციელებაზე. საერთო სასამართლოებს მართავს კონსტიტუციური ორგანო - იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც შედგება ცხრა მოსამართლე და ექვსი არამოსამართლე (პოლიტიკური ნიშნით დანიშნული) წევრისგან. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებაში შედის მოსამართლეთა დანიშვნისა და დათხოვნის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენის (დასამტკიცებლად

საჭიროა პარლამენტის შემადგენლობის 3/5-ის მხარდაჭერა), ასევე, დისციპლინური და ანგარიშვალდებულებითი ზომების მიღება და სასამართლო სისტემის ზოგადი ადმინისტრირების განხორციელება.

ბიძინა ივანიშვილმა მემკვიდრეობით მიიღო სასამართლო სისტემა, რომელშიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეები ფართო ძალაუფლებით იყვნენ აღჭურვილები. საწყის ეტაპზე, ივანიშვილი აპირებდა ამ ტრადიციული სასამართლო ელიტების დემონტაჟს, მაგრამ მათ შეძლეს კონტროლის შენარჩუნება იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და რიგით მოსამართლეებზე და წინააღმდეგობა გაუწიეს ივანიშვილის რეჟიმს.<sup>122</sup> გარდამტეხი ცვლილება მოჰყვა 2013 წლის ბოლოს გამართულ შეხვედრას ბიძინა ივანიშვილსა და მოსამართლე ლევან მურუსიძეს შორის, რომელიც იმ დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობას იკავებდა. შეხვედრის შემდეგ, ივანიშვილმა მკვეთრად შეიცვალა პოზიცია და დაიწყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ქება, ახასიათებდა მას, როგორც ინსტიტუციას, რომელიც წარსულში ცუდად იქცეოდა, მაგრამ ახლა კარგი საქმეების კეთება დაიწყო.<sup>123</sup> აღნიშნულმა ნარატივმა შეიძინა წამყვანი მნიშვნელობა, „ქართული ოცნების“ მიერ მოსამართლეთა (რომელთაც ხშირად „კლანის წევრებს“ უწოდებენ) დაცვის კონტექსტში, რომლის მიხედვითაც, წინა ხელისუფლების დროს მოსამართლეები იყვნენ მსხვერპლები და ახლა ბეჯით მუშაკებად გადაიქცნენ.<sup>124</sup>

სასამართლო რეფორმის თანმიმდევრული „ტალღების“ შედეგად, რომლებიც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით განხორციელდა,<sup>125</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წამყვანი როლი კიდევ უფრო გამყარდა. „ქართულმა ოცნებამ“ აღნიშნული „რეფორმები“ შენიღბა, როგორც „იუსტიციის საბჭოს ევროპული მოდელის“ დანერგვა, რის შედეგადაც უნდა ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელი, გამჭვირვალე საბჭო, რომელიც დაკომპლექტდებოდა მოსამართლე (არჩეული კოლეგა მოსამართლეების მიერ) და დამოუკიდებელი არამოსამართლე წევრებით,<sup>126</sup> აღიჭურვებოდა სასამართლო სისტემის ზედამხედველობის ფუნქციით და ამ გზით, უზრუნველყოფდა სასამართლოს დამოუკიდებლობას. რეალურად, საქართველოში ამ რეფორმებით გაამყარეს სასამართლო ოლიგარქია,<sup>127</sup> რომელიც ამჟამად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით, მთელ სასამართლო ხელისუფლებაზე, პრაქტიკულად, შეუზღუდავ ძალაუფლებას ახორციელებს.

მართლაც, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „კლანის“ წევრები და პოლიტიკური ნიშნით დანიშნულები ამჟამად ფლობენ კვალიფიციურ უმრავლესობას, რათა გააკონტროლონ მოსამართლეთა დანიშვნასთან, სამუშაო ადგილებზე განაწილებასთან, ანაზღაურებასთან, დაწინაურებასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო გადაწყვეტილება.<sup>128</sup> აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშში აღნიშნულია: „ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობა შესუსტებულია იმ ბერკეტების მეშვეობით, რომლებსაც, უპირველესად, ფლობს სასამართლოში ხელისუფლების ინტერესებში მოქმედი მოსამართლეების გავლენიანი ჯგუფი, ე.წ. კლანი. ასეთ ბერკეტებს განეკუთვნება მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, დაწინაურებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის პრობლემური პრაქტიკა; ინდივიდუალური სასამართლოების ავტონომიის ნაკლებობა სასამართლოს თავმჯდომარეთა შერჩევის პროცესში; საქმეთა შემთხვევით განაწილებასთან დაკავშირებული მანიპულაციები; ერთი სასამართლოდან მეორეში მოსამართლეთა გადაყვანა; კონკრეტული საქმეების განხილვასთან დაკავშირებით, ინსტრუქციების მიცემა და ბენოლა.“<sup>129</sup>

ბიძინა ივანიშვილმა და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სისტემატური ქმედებებით, გადაავსეს უზენაესი სასამართლო. ეუთო/ODIHR-ის ანგარიშის თანახმად, 2019-2021 წლებში, „საქართველომ უზენაესი სასამართლოს 20 მოსამართლე უვადო თანამდებობებზე დანიშნა. ODIHR-ის შეფასებით, აღნიშნულ პროცესებს აკლდა კეთილსინდისიერება, ობიექტურობა და სანდოობა.“<sup>130</sup>

უფრო რთული გამოდგა საკონსტიტუციო სასამართლოს მიტაცება. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ადრეულ პერიოდებში გამოქვეყნებულ ანგარიშებში, მაგალითად, „ვენეციის კომისიის“ 2010 წლის კონსტიტუციური მართლმსაჯულების მსოფლიო კონფერენციის ანგარიშში, აღნიშნულია, რომ 1995 წლიდან, არსებობის ხანმოკლე ისტორიის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლო არის „ძალაუფლების დანაწილების მთავარი ინსტიტუტი... რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციურ ბალანსს“.<sup>131</sup> შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის შესასუსტებლად, საჭირო გახდა საკანონმდებლო ზომებისა და სტრუქტურული ნაკლოვანებების ექსპლუატაცია. 2016 წლის ზაფხულში, ზუსტად საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, მიღებული კანონმდებლობით, შეიცვალა სასამართლოს პროცედურული წესები, სასამართლოს თავმჯდომარის გავლენის შესუსტებისა და კოლეგიებში რეჟიმის ერთგული, უმცირესობაში მყოფი მოსამართლეების გაძლიერების მიზნით.<sup>132</sup> ამას გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისთვის, კვორუმი გაიზარდა ექვს მოსამართლემდე (სასამართლოში შედის 9 მოსამართლე), მიუხედავად იმისა, რომ „ვენეციის კომისიამ“ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ „მტკიცე რეკომენდაცია“ გასცა.<sup>133</sup> კვორუმის გაზრდამ რეჟიმის მომხრე მოსამართლეებს შესაძლებლობა მისცა, მცირე რაოდენობის მიუხედავად, მოეხდინათ სადავო საქმეების ობსტრუქცია, დამოუკიდებელი მოსამართლეების (მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოსა და კოლეგიის თავმჯდომარეების) უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. აღნიშნული მოსამართლეების უფლებამოსილების დასრულების შემდეგ, ივანიშვილმა საპარლამენტო უმრავლესობისა და უზენაეს სასამართლოზე კონტროლის მეშვეობით, შეძლო საკონსტიტუციო სასამართლოში ერთგულებაში გამოცდილი კადრების (მათ შორის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების) დანიშვნა და ამ გზით ეს ინსტიტუტი სრულად დაიმორჩილა.<sup>134</sup> საკონსტიტუციო სასამართლოში კომფორტული უმრავლესობის მიღწევის შემდეგ, სასამართლომ გააბათილა კვორუმის გაზრდის ცალკეული შემთხვევები, რადგან სადავო საქმეების ობსტრუქციისთვის, მათი საჭიროება აღარ იდგა.<sup>135</sup> რეჟიმის სამართლებრივ ელიტებთან საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი მოსამართლეების სიახლოვეზე მეტყველებს 2025 წლის აპრილში საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, მერაბ ტურავას, დანიშვნა „ქართული ოცნების“ მთავრობის იუსტიციის მინისტრის მოადგილედ (საკონსტიტუციო სასამართლოში მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან რამდენიმე კვირაში).<sup>136</sup>

ამჟამად სასამართლო ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ძალაუფლების ქვაკუთხედი, ხოლო სასამართლო ოლიგარქია უზრუნველყოფს ამ ინსტიტუტის რეჟიმის ინტერესებთან თანხვედრას. საერთო სასამართლოები ჩამოყალიბდა, როგორც რეჟიმის მიერ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ წარმოებული მიზნობრივი სამართლებრივი რეპრესიებისა და საპროტესტო აქციებში მონაწილეთა მიმართ მასობრივი რეპრესიული ზომების პროგნოზირებადი აღმასრულებელი.<sup>137</sup> ანალოგიურად, საკონსტიტუციო სასამართლო რეჟიმის რეპრესიული ზომების საკვანძო ხელშემწყობია, რადგან, სამართლებრივი საფარის ქვეშ, ადამიანის უფლებათა დარღვევების გაგრძელებას უშვებს. კერძოდ,



კანონმდებლობით სარჩელების განხილვაზე დაწესებული 9-თვიანი ვადის წესის ბოროტად გამოყენებით, განუსაზღვრელი ვადით ყოვნდება მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება.<sup>138</sup> საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის, იმპიჩმენტის პროცესში, საკონსტიტუციო სასამართლომ, რეჟიმის თვითნებური მითითების საფუძველზე,<sup>139</sup> კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა. ასევე თავიდან აირიდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული სარჩელების განხილვა იმ საფუძველით, რომ მას არ გააჩნია საარჩევნო დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება, რამაც ეუთოს / ODIHR-ის შეფასებით, „...შეზღუდა ჯეროვანი სამართლებრივი პროცესის უფლება“ და „ვერ უზრუნველყო ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა.“<sup>140</sup>

### iii) პროკურატურის პოლიტიზება

ბიძინა ივანიშვილმა მემკვიდრეობით მიიღო აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეზრდილი პროკურატურა, რომლის ზედამხედველობას იუსტიციის მინისტრი ახორციელებდა. „დეპოლიტიზაციის“ საფარქვეშ, ივანიშვილმა პროკურატურა გარდაქმნა გენერალური პროკურორის ხელმძღვანელობით მოქმედ დამოუკიდებელ ინსტიტუტად, სადაც გენერალური პროკურორი არსებითად გათავისუფლებულია ანგარიშვალდებულებისგან<sup>141</sup> და პირადი ერთგულების ნიშნით, ანგარიშვალდებულია მხოლოდ ივანიშვილთან.<sup>142</sup>

პროკურატურამ შეინარჩუნა საბჭოთა პერიოდის იერარქიული სისტემა და ფუნქციონირებას აგრძელებს მკაცრად ბიუროკრატიული იერარქიული სტრუქტურით, სადაც ყველა პროკურორი ანგარიშვალდებულია მხოლოდ გენერალური პროკურორის წინაშე.<sup>143</sup> აღნიშნულ თანამდებობაზე ერთგული კადრის დანიშვნით, ივანიშვილმა უზრუნველყო პროკურატურაზე მტკიცე კონტროლის მიღწევა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მისი ძალაუფლება მართლმსაჯულების სისტემაზე.

აღნიშნულმა ორმაგმა კონტროლმა სასამართლოსა და პროკურატურაზე, ბიძინა ივანიშვილს შესაძლებლობა მისცა, საქართველოს სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემა ექცია პირადი ძალაუფლების ინსტრუმენტად, ინსტიტუციური ლეგიტიმაციის დეკორატიული საფარის ქვეშ. უკანასკნელ თვეებში, რეჟიმმა, საბოტაჟის საბაბით, სისხლის სამართლის საქმეები აღძრა რიგი ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც დახმარებას უწევენ აქციების მონაწილეებს, მათ შორის, დემონსტრანტებზე დაკისრებული უკიდურესად მაღალი ჯარიმების გადახდისთვის თანხების შეგროვების კამპანიების ორგანიზების მეშვეობით. აღნიშნული ორგანიზაციების საბანკო ანგარიშები გაიყინა.<sup>144</sup> უფრო გრძელვადიან მაგალითს წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი სისტემის გამოყენება ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, წინააღმდეგ, რაც კარგად არის დოკუმენტირებული და მოიცავს მისთვის სასჯელის დაუსწრებლად შეფარდებას 2016 წელს, მის დაპატიმრებას 2021 წელს, საქართველოში<sup>145</sup> დაბრუნების შემდეგ და მისთვის კიდევ ორი საპატიმრო ვადის მისჯას 2024 წელს, 9 და 4.5 წლით.<sup>146</sup> 2015 წლის ივლისში ინტერპოლმა გადაწყვიტა, საქართველოდან მოთხოვნის მიუხედავად, მისი ძებნა წითელი ცირკულარით არ გაეგრძელებინა, რადგან მიიჩნია, რომ სააკაშვილის საქმეში პოლიტიკური მდგენელი სამართლებრივ მდგენელს აღემატება,<sup>147</sup> ხოლო 2023 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც, პატიმრობის პერიოდში ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მისი გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.<sup>148</sup>

პოლიტიკური ოპონენტებისა და კრიტიკოსების მიზნობრივი დევნის გარდა, ივანიშვილმა მართლმსაჯულების სისტემა აქცია იარაღად ყოფილი მოკავშირეების, მათ შორის, გიორგი

ბაჩიაშვილის წინააღმდეგ (გიორგი ბაჩიაშვილი ივანიშვილის საინვესტიციო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელია, რომელსაც ივანიშვილი თანხების მითვისებაში ადანაშაულებს).<sup>149</sup> ივანიშვილის რეჟიმის მიერ ბაჩიაშვილისთვის სხვისი ქონების უკანონოდ მითვისებაში ბრალის წარდგენის შემდეგ, ეს უკანასკნელი ქვეყნიდან გაიქცა, თუმცა ამტკიცებს, რომ „საზღვარგარეთ გაიტაცეს“, არ მისცეს იურისტებთან დაკავშირების შესაძლებლობა და იძულებით დააბრუნეს საქართველოში, როგორც „ივანიშვილის პირადი პატიმარი“.<sup>150</sup>

პარალელურად, ბიძინა ივანიშვილი იცავს ერთგულ ფიგურებს, რაც გამოჩნდა მისი გარემოცვის ახლო წევრისა და ყოფილი გენერალური პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის, შემთხვევაში. აშშ-ის მიერ ოთარ ფარცხალაძეზე სანქციების დაწესების გამო, რასაც საფუძვლად დაედო მისი მავნე ქმედებები რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის ინტერესების შესაბამისად,<sup>151</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ფარცხალაძე მხოლოდ ფორმალურად გამოკითხა, ხოლო პროკურატურამ ვერ დაადგინა გამოძიების ან დევნის დანყების საფუძველი.<sup>152</sup>

#### **iv) სახელმწიფო უწყებების იარაღად გამოყენება**

აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი ძირითადი ინსტიტუტები ავტორიტარული სახელმწიფო კონტროლის საკვანძო ამსრულებლები არიან. აღნიშნულ ინსტიტუტებს განეკუთვნება: შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს), რომელიც აღჭურვილია სამართალდამცავი ფუნქციით; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს), ოფიციალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნულ უსაფრთხოებაზე; სხვადასხვა სამთავრობო უწყების შემადგენლობაში მოქმედი სპეციალიზებული დანაყოფები, როგორებიცაა ფინანსთა სამინისტროში შემავალი შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დანაყოფი, რომელიც იძიებს ფინანსურ დანაშაულებს<sup>153</sup> და იუსტიციის სამინისტროში შემავალი სპეციალური პენიტენციური სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებების მართვაზე. შსს-ს ერთ-ერთი მთავარი დანაყოფია განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, რომელიც „Amnesty International“-ის შეფასებით, ორგანიზებას უწევდა პროტესტის მონაწილეთა „ძალადობრივ დარბევას“.<sup>154</sup>

საქართველოს უახლეს ისტორიაში, შიდა უსაფრთხოების ფუნქციების შესრულება, როგორც წესი, ცალკე მოქმედ სახელმწიფო უწყებას ევალებოდა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში განხორციელდა ამ ფუნქციების შერწყმა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუერთდა. თავის მხრივ, ივანიშვილის რეჟიმმა მიიღო რეპრესიული მანქანის მიერ „შიდა ამბოხის“ მოწყობის რისკების მაქსიმალურ დაზღვევაზე გათვლილი სტრატეგიული გადაწყვეტილება და „ქართული ოცნების“ მმართველობის ადრეულ პერიოდში,<sup>155</sup> სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს)<sup>156</sup> კვლავ გამიჯნა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან. ამგვარად, შეიქმნა ავტორიტარული კონტროლის ორი სხვადასხვა ინსტიტუციური საყრდენი. ორივე ზემოხსენებული უწყება (შსს და სუსი) დაკომპლექტებულია ივანიშვილის ახლო წრეში შემავალი ერთგული ფიგურებით, რაც განაპირობებს ამ ინსტიტუტების მოქმედების თანხვედრას ივანიშვილის ინტერესებთან.<sup>157</sup>

ფორმალურად დამოუკიდებელი სტატუსისა და პარლამენტთან ანგარიშვალდებულების მიუხედავად,<sup>158</sup> სუსი საკუთარ საქმიანობას არსებითად პოლიტიკური და სამართლებრივი ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების გარეშე ახორციელებს და მისი ხელმძღვანელი პერსონალურად ანგარიშვალდებულია მხოლოდ ივანიშვილის წინაშე.<sup>159</sup>

სუს-ის კანონისმიერი ფუნქციები გაბნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში, რომლებითაც, მათ შორის, წესრიგდება ანტიკორუფციული, ანტიტერორისტული და კონტრსადაზვერვო საქმიანობა.<sup>160</sup> თუმცა, რეალობაში, სუს-ის წვდომა და გავლენა მკვეთრად სცილდება ამ სფეროებს და მოიცავს მასობრივი ელექტრონული თვალთვალის პროგრამას, საჯარო სამსახურის, მათ შორის, საჯარო განათლების სისტემის ზედამხედველობას და საარჩევნო მანიპულაციის ძალისხმევის წარმართვასა და კოორდინაციას.<sup>161</sup> სუს-ის ცალკეული სპეციალიზებული დანაყოფები ასევე უთვალთვალევენ და გავლენის ბერკეტებს ინარჩუნებენ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებზე, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ჯგუფებზე, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე კონტროლისა და მართვის მექანიზმების თავმოყრას რეჟიმის ხელში.<sup>162</sup>

საპროტესტო გამოსვლების ძალადობრივი დარბევებისა და ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებში მონაწილეობის გამო, 2024 წლიდან, ზემოხსენებული რეპრესიული აპარატის ძირითად ფიგურებს, მათ შორის, შს ყოფილ მინისტრს ვახტანგ გომელაურს და მის მოადგილეს, ისევე, როგორც განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელ ზვიად ხარაზიშვილსა და მის მოადგილეს, საერთაშორისო სანქციები, მათ შორის, აშშ-ის „მაგნიტსკის აქტით“ გათვალისწინებული სანქციები დაუწესდათ.<sup>163</sup>

## **v) საჯარო სამსახურისა და დამოუკიდებელი უწყებების ხელში ჩაგდება**

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ, საქართველოში საჯარო სამსახურის შესაძლებლობებისა და პროფესიონალიზმის გაზრდამ შედეგად სახელმწიფოს შესაძლებლობების ზრდა მოიტანა.<sup>164</sup> თუმცა საჯარო სამსახურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა პრაქტიკულად დაუძლეველ გამოწვევას წარმოადგენდა, ხოლო საჯარო ინსტიტუტები ხშირად ამჟღავნებდნენ მოწყვლადობას პარტიული გავლენის მიმართ.<sup>165</sup>

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა განახორციელა რეფორმების მთელი სერია, რომელიც, ერთი შეხედვით, მიმართული იყო საჯარო სამსახურის გაძლიერებაზე, რაც მოიცავდა სამუშაო ადგილის უსაფრთხოების მყარ საკანონმდებლო გარანტიებსა და საჯარო მოხელეებისთვის, შრომითი სტაჟისა და პროფესიონალიზმის შესაბამისად, მატერიალური სარგებლით უზრუნველყოფას.<sup>166</sup> თუმცა, დამოუკიდებლობის ხელშეწყობის ნაცვლად, აღნიშნული ზომების გატარების შემდეგ, კლიენტელისტური სისტემა კიდევ უფრო გაძლიერდა, რამაც საჯარო მოხელეებს მმართველ ელიტასთან უფრო მჭიდროდ დაახლოებისკენ უბიძგა.

საჯარო სამსახურზე კონტროლის დამყარების მეთოდები კიდევ უფრო გამკაცრდა 2024 წლის ნოემბრის შემდეგ. ევროპის კავშირთან განვრცობის შესახებ მოლაპარაკებების შეჩერების გამო დაწყებული პროტესტის მონაწილეების, მათ შორის, საჯარო მოხელეების, წინააღმდეგ მასშტაბური რეპრესიების ტალღის პარალელურად, რეჟიმმა კიდევ უფრო გაააქტიურა საჯარო სექტორის არასაიმედო კადრებისგან წმენდის ძალისხმევა.<sup>167</sup> მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, გაუქმდა სამუშაო ადგილის დაცვის გარანტიები და შემცირდა საშუალო რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე დასანიშნად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც მიანიშნებს რეჟიმის პრიორიტეტების მკვეთრ ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც, ერთგულება კომპეტენციაზე მნიშვნელოვანია.<sup>168</sup>



პარალელურად, ერთპალატიან პარლამენტში „ქართული ოცნების“ მიერ კვალიფიციური უმრავლესობის ხანგძლივად კონტროლის პირობებში, რეჟიმმა ასევე დაიქვემდებარა ისეთი დამოუკიდებელი ინსტიტუტები, როგორებიცაა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია და ეროვნული ბანკი. კომუნიკაციების კომისია, რომელსაც თავდაპირველად ტელეკომუნიკაციების რეგულირება ევალებოდა, მედიის ჩახშობის ინსტრუმენტად გადაიქცა, ისეთი ფართო მარეგულირებელი ძალაუფლებით აღჭურვის შედეგად, როგორცაა შეუსაბამოდ მაღალი ფინანსური სანქციების დაწესება, ან ხელისუფლებისადმი კრიტიკული მედიასაშუალებების მაუწყებლობის ლიცენზიის შეჩერება.<sup>169</sup> ევროკომისიის 2023 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ „საჭიროა კომუნიკაციების კომისიის ეფექტური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა“.<sup>170</sup> შექმნილი გარემოებები კომუნიკაციების კომისიას განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის პოლიტიკური ზეგავლენის მიმართ და მმართველ პარტიას აძლევს რეგულაციების შერჩევითად გამოყენების შესაძლებლობას იმ მედიასაშუალებების წინააღმდეგ, რომლებიც არ იზიარებენ მის ნარატივებს. აღნიშნულის მსგავსად, რეჟიმის ფიგურების საერთაშორისო სანქციებისგან დასაცავად, განხორციელდა ეროვნული ბანკის ინსტრუმენტალიზაცია, რადგან ბანკის ხელმძღვანელობაში დანიშნული რეჟიმის ერთგული პირები გადაწყვეტილებებს იღებენ არა საზოგადოებრივი ინტერესების, არამედ მმართველი წრის დასაცავად.<sup>171</sup>

## vi) ოპოზიციური პარტიებისა და ლიდერების დევნა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, კამპანიის დროს, ივანიშვილმა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების აკრძალვის პირობა დადო, თუმცა არ დაუსახელებია მათ მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულებები.<sup>172</sup> არჩევნების მანიპულირების მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიპოვა ოპოზიციური პარტიების აკრძალვისთვის საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად საკმარისი საპარლამენტო მანდატების რაოდენობა.<sup>173</sup>

2025 წლის მაისში „ქართული ოცნების“ პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა ორგანულ კანონებში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.<sup>174</sup> შეცვლილი კანონი აფართოებს სასამართლოს უფლებამოსილებას, აკრძალოს პოლიტიკური პარტიები, ამავდროულად, კრძალავს მათ ხელახლა შექმნას და მათ ლიდერებს განუსაზღვრელი ვადით უკრძალავს პოლიტიკურ საქმიანობას.<sup>175</sup> იმავე თვეში, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა და პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მალე საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანენ „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის შესახებ, რომელიც, „ქართული ოცნების“ აზრით, შედგება შემდეგი პოლიტიკური სუბიექტებისგან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის“, „ძლიერი საქართველო“ და „გახარია საქართველოსთვის“.<sup>176</sup> კობახიძის თქმით, სარჩელისთვის საჭირო მტკიცებულებებს შეაგროვებს „ქართული ოცნების“ მიერ პარლამენტში შექმნილი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, რომელიც ოპოზიციური პარტიების მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებებს გამოიკვლევს.<sup>177</sup> გარდა ამისა, საგამოძიებო კომისიის წინაშე გამოცხადებაზე უარის თქმის გამო, ივანიშვილის რეჟიმმა რამდენიმე ოპოზიციური ლიდერი დააპატიმრა.<sup>178</sup>

## vii) პროტესტის ჩახშობა

საკანონმდებლო შეზღუდვების დაწესებითა და პროტესტის მონაწილეების ძალადობრივი დარბევის გზით, ივანიშვილის რეჟიმმა ჩაახშო პროტესტი და შელახა შეკრებისა და გამობატვის თავისუფლებები.

საკანონმდებლო შეზღუდვების ქვაკუთხედს წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი<sup>179</sup>, რომელიც, დიდი ხანია, გამოიყენება პროტესტის მონაწილეების თვითნებური სამართლებრივი დევნისთვის, ისეთი ბუნდოვნად განსაზღვრული ბრალდებების საფუძველზე, როგორებიცაა წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციის ბრძანებებისადმი დაუმორჩილებლობა<sup>180</sup>, რომლებიც არ უკავშირდება შეკრების უფლების განხორციელებას.

2024 წლის ნოემბრიდან, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა გააძლიერა საკანონმდებლო თავდასხმა ახალი, კონკრეტულად პროტესტთან და შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული სპეციფიკური შეზღუდვების მიღების გზით.<sup>181</sup> აღნიშნულ შეზღუდვებს შორისაა სახის დაფარვის აკრძალვა, სპონტანური შეკრებების შესახებ შესაბამისი სტრუქტურების დაუყოვნებლივი ინფორმირების ვალდებულება, დახურულ სივრცეებში ან შენობებში შეკრების ზოგადი აკრძალვა, მესაკუთრის მხრიდან წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, დროებითი ნაგებობების აღმართვის აკრძალვა და ჯარიმების გამკაცრება არსებული სამართალდარღვევებისთვის, როგორიცაა გზის გადაკეტვა.<sup>182</sup> გარდა ამისა, პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, რომლებითაც ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო „შეურაცხყოფა“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად დაკვალიფიცირდა.<sup>183</sup>

გადაუდებელ დასკვნაში, ეუთო/ODIHR-მა დაადგინა, რომ „სერიოზულ შეშფოთებას იწვევს აღნიშნული შესწორებებიდან რამდენიმეს შეუსაბამობა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან, კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლთან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლთან“, „ზოგიერთი“, მათ შორის, „მკაცრი ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი სანქციები, უნდა ამოღებულ იქნას ან სრულად გადაიხედოს“.<sup>184</sup> ამავე დროს, ვენეციის კომისიამ, კანონშემოქმედებითი პროცესი „ფუნდამენტურად ხარვეზიანად“ მიიჩნია; რამდენიმე ახალი დებულება გააკრიტიკა, როგორც „ბუნდოვანი“, აღნიშნა, რომ სიცხადის ნაკლებობა ქმნიდა „ბოროტად გამოყენების“ რისკს; დაადგინა, რომ „სხვადასხვა შემზღუდავი ღონისძიებების მიღების აუცილებლობა და პროპორციულობა... არ იყო ადეკვატურად დასაბუთებული...“ და „შესაძლოა, სუსხის ეფექტი ჰქონოდა“. ამრიგად, „შესწორებები, როგორც ჩანს, შეუთავსებელია კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებთან“.<sup>185</sup>

2025 წლის იანვრისთვის, პოლიციას მიენიჭა 5 000 ლარის ოდენობის ჯარიმის დაკისრების უფლებამოსილება ნებისმიერი მომიტინგისთვის, რომელიც, სავარაუდოდ, გზას კეტავს.<sup>186</sup> აღნიშნული უფლებამოსილება, რომელიც მანამდე მხოლოდ სასამართლოებს ჰქონდა,<sup>187</sup> ხშირად და თვითნებურად გამოიყენებოდა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ.<sup>188</sup> ამ ჯარიმის ოდენობა რამდენჯერმე აღემატება საქართველოში არსებულ საშუალო ყოველთვიურ ხელფასს. პოლიციის ვიდეომეთვალყურეობის კამერები რეალურ დროში უთვალთვალეს და აფიქსირებს მომიტინგეებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მსუსხავ ეფექტს, არღვევს პირადი ცხოვრების უფლებასა და შეკრების თავისუფლებას.<sup>189</sup>

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აღნიშნულ სამართალდარღვევებსა და ჯარიმების გასაჩივრებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები ფარსია.<sup>190</sup> აღნიშნული საბჭოთა სტილის ინკვიზიციური სისტემის თანახმად, მოსამართლეები და პოლიცია მჭიდროდ თანამშრომლობენ გამამტყუნებელი განაჩენებისთვის რუტინული ბეჭდის დასმის პროცესში.<sup>191</sup> მოსამართლეები რეგულარულად იღებენ გადაწყვეტილებებს მხოლოდ პოლიციის ჩვენებებზე დაყრდნობით, უარს ამბობენ, განიხილონ ან გადადგან ნაბიჯები, ცემის, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შესახებ დაცვის მხარის მიერ გაკეთებული განცხადებების საპასუხოდ, გამამტყუნებელი გადაწყვეტილებები გამოაქვთ, ჯვარედინი დაკითხვის დროს გამოვლენილი აშკარა ფაქტობრივი წინააღმდეგობებისა და სიცრუის მიუხედავად.<sup>192</sup>

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სხვა სასამართლო პროცესებიც მსგავს ტენდენციას მიჰყვება. 2024 წლის დეკემბერში პარლამენტმა ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა 60 დღემდე გაზარდა და პრევენციული დაკავება დააკანონა.<sup>193</sup> დაკავებისთვის საჭირო კანონიერი საფუძვლების გაფართოებამ და დაკავების ვადის გაზრდამ, გააძლიერა ეჭვები შესაძლო წამებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ საპროტესტო აქციებიდან დაკავების ადგილებში გადაყვანისთვის განკუთვნილ სპეციალურ მიკროავტობუსებში პროტესტის მონაწილეთა რეჟიმის მიერ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დოკუმენტირებულ შემთხვევებს.<sup>194</sup>

მომიტირებების წინააღმდეგ ძალადობრივი დარბევის შემთხვევები, ამ დროისთვის, უკვე სათანადოდ არის აღწერილი. გაეროს რამდენიმე სპეციალურმა მომხსენებელმა ერთობლივ განცხადებაში მიუთითა „სანდო ინფორმაციაზე იმის შესახებ, რომ პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ განურჩევლად გამოიყენა რეზინის ტყვიები, წყლის ჭავლი, წინაკის სპრეი და სხვა ქიმიური გამაღიზიანებელი საშუალებები. დაშავდა ასობით ადამიანი, რომელთაგან უჩვეულოდ მაღალმა პროცენტმა თავისა და სახის სერიოზული დაზიანებები მიიღო“.<sup>195</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა ვოლკერ ტურკმა განაცხადა, რომ „პროტესტის მონაწილეებისა და მედიის თანამშრომლების წინააღმდეგ არასაჭირო ან არაპროპორციული ძალის გამოყენება უკიდურესად შემაშფოთებელია“.<sup>196</sup> ამავე დროს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) დაგმო „დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის სასტიკი გამოყენება“.<sup>197</sup>

პოლიცია ძალადობის თვალსაჩინო ნიშნებს დაუსაბუთებლად ამართლებს დაკავებულთა მხრიდან არსებული წინააღმდეგობის ჩახშობის აუცილებლობით.<sup>198</sup> სასამართლო პროცესებზე მოსამართლეები რეგულარულად უარყოფენ დაკავებულთა წამების შესახებ ბრალდებებს, შემდგომი გამოძიების გარეშე, მაშინაც კი, როდესაც დაკავებულებს ფიზიკური ძალადობის აშკარა კვალი აღენიშნებათ.<sup>199</sup> პოლიციის სისასტიკის მტკიცებულებების დოკუმენტირების მიზნით, 2024 წლის 10-24 დეკემბერს, თბილისში განხორციელებული ერთობლივი მისიის შემდეგ, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭომ (IRCT), დამოუკიდებელ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფმა (IFEG) და წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციამ (OMCT) გამოაქვეყნეს წინასწარი დასკვნები, რომლებშიც ნათქვამია, რომ დაზიანებების ხასიათი „მიუთითებს მომიტირებებისა და მხარდამჭერების სისტემატური წამებისა და მათდამი არასათანადო მოპყრობის კოორდინირებულ პოლიტიკასა და პრაქტიკაზე, ხშირად მას შემდეგ, რაც ისინი უკვე პოლიციის ფიზიკური კონტროლის ქვეშ იმყოფებიან“.<sup>200</sup>



## viii) სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიზანში ამოღება

რუსული ავტორიტარული „თამაშის წესების“ გამოძახილით, ივანიშვილის რეჟიმმა მიზნად დაისახა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის იარლიყების მიკერება, სტიგმატიზაცია და მათი დასჯა „უცხოელი აგენტების“ კანონების გამოყენებით.

2023 წელს რეჟიმმა სამოქალაქო საზოგადოების მძლავრ მობილიზაციას - ევროკავშირში გაწევრიანების, დემოკრატიული რეფორმებისა და სამართლის უზენაესობის გაუმჯობესების მოთხოვნებს დაუპირისპირა კანონპროექტი „უცხოელი აგენტების შესახებ“.<sup>201</sup> კანონპროექტი, პროტესტის ფონზე, გაიწვიეს. თუმცა, 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, კვლავ შემოიტანეს და იმავე წლის მაისში<sup>202</sup> „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ სახით მიიღეს. აღნიშნული კანონი ყოველდღიურობაში „რუსული კანონის“ სახელითაა ცნობილი. პრეზიდენტი ზურაბიშვილის მიერ დადებული ვეტო პარლამენტმა შემდგომი კენჭისყრით დაძლია. მას შემდეგ, რაც ზურაბიშვილმა კანონის ხელმოწერაზე უარი თქვა, მას ხელი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მოაწერა.<sup>203</sup>

საერთაშორისო ორგანიზაციები ხმამაღლა აკრიტიკებენ კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. „ვენეციის კომისიამ“ გადაუდებელ დასკვნაში აღნიშნა, რომ გამოხატვის, შეკრებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვები შეუთავსებელია ევროპულ და საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან და კანონის გაუქმების მკაცრი რეკომენდაცია გასცა.<sup>204</sup> ეუთო/ODIHR-ის დასკვნაც ზემოაღნიშნულის მსგავსი იყო. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ კანონით გათვალისწინებული არაპროპორციული ჯარიმები „შესაძლოა, განსხვავებული აზრის ჩახშობის ინსტრუმენტად იქცეს“.<sup>205</sup> გაეროს რამდენიმე სპეციალურმა მომხსენებელმა საქართველოს მთავრობასთან შეშფოთება გამოხატა „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაზე კანონის მოსალოდნელ დამანგრეველ ეფექტთან დაკავშირებით“.<sup>206</sup>

კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კოალიციამ გაასაჩივრა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა კანონის მოქმედების დროებით შეჩერებაზე. მიუხედავად ამისა, მისი აღსრულება, 2024 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგების არალეგიტიმურად გამოცხადების მოთხოვნით დაწყებული საპროტესტო აქციების შემდეგ, აღარ დაწყებულა. 2024 წლის ოქტომბერში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრეს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. 2025 წლის მარტში სასამართლომ, აღნიშნული საჩივრის თაობაზე, მთავრობასთან კომუნიკაცია განახორციელა.<sup>207</sup>

2025 წლის მარტში მიიღეს მეორე კანონი - „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ (GEOFARA),<sup>208</sup> რომელიც აშშ-ის „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მოდელის მიხედვით შეიქმნა. საქართველოს FARA მოითხოვს, რომ ფიზიკური და იურიდიული პირები ანტიკორუფციულ ბიუროში „უცხოელი აგენტების“ სტატუსით დარეგისტრირდნენ, თუ ისინი „მოქმედებენ უცხოელი პრინციპალის ბრძანებით, მოთხოვნით ან მისი ხელმძღვანელობით, ან იმყოფებიან მისი კონტროლის ქვეშ“<sup>209</sup>, რათა ჩაერთონ საქმიანობათა ფართო სპექტრში, მათ შორის, „პოლიტიკურ საქმიანობაში საქართველოში... უცხოელი პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესებიდან გამომდინარე“. ასეთი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც უცხოური იურიდიული პირის ინტერესებიდან

გამომდინარე მოქმედებენ, მაგალითად, უცხოური დაფინანსების გამო, ვალდებული არიან, ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინონ თავიანთი საქმიანობისა და ფინანსების დეტალური ანგარიშები.<sup>210</sup> გარდა ამისა, ასეთმა პირებმა ასევე, „თვალსაჩინოდ“ უნდა მიუთითონ, რომ მათი საჯარო განცხადებები/საინფორმაციო მასალები მომზადებულია „უცხოელი აგენტის“ მიერ და ნებისმიერი საჯარო განცხადების/გავრცელებული საინფორმაციო მასალის ორი ეგზემპლარი, მისი გავრცელებიდან არაუგვიანეს ორმოცდარვა საათისა, ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინონ.<sup>211</sup>

ამ მძიმე და ბუნდოვანი ვალდებულებების შეუსრულებლობა ადმინისტრაციული სანქციების, მაგალითად, ჯარიმების ნაცვლად, ამჟამად უკვე ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.<sup>212</sup> როგორც „არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრმა“ (ICNL) აღნიშნა, კანონის ქართული ვერსია იყენებს აშშ-ის FARA-ს ბუნდოვან პირობებს და უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ „აშშ-ის FARA-ს აღსრულება გაცილებით უფრო შეზღუდული ფორმით ხდება, ვიდრე ეს გათვალისწინებულია კანონის ქართულ ვერსიაში“. მაგალითად, აშშ-ის FARA-ს ფარგლებში რეგისტრირებულთა მხოლოდ 5%-ია არასამთავრობო ორგანიზაცია, თუმცა აშშ-ის ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია და მედიაორგანიზაცია იღებს უცხოურ გრანტებს და სხვა მხარდაჭერას.<sup>213</sup> ამიტომ ICNL-მა გამოთქვა შემოთქვა, რომ საქართველოს FARA-ს „ფართო და ბუნდოვანი დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეების საქმიანობაზე ბენოლის მოსახდენად“.<sup>214</sup>

გრანტების შესახებ კანონში 2025 წლის აპრილში მიღებული ცვლილებები<sup>215</sup> მნიშვნელოვნად აძლიერებს რეჟიმის კონტროლს უცხოურ დაფინანსებაზე. ძირითად დებულებებს შორის აღსანიშნავია, რომ ყველა დონორმა ახლა, გრანტების გაცემისთვის, მთავრობის წინასწარი თანხმობა უნდა მოიპოვოს, ხოლო ასეთი თანხმობის გარეშე, გრანტების გაცემა მკაცრად აკრძალულია. გამონაკლისები შემოიფარგლება სპორტული ფედერაციების, ასოციაციების ან კომიტეტების მიერ გაცემული გრანტებით, ასევე, საზღვარგარეთ გაცემული ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი სტიპენდიებით.<sup>216</sup> ICNL-მა დაასკვნა, რომ აღნიშნული ახალი წესები, მათი მიღების შემთხვევაში, „უფრო მკაცრი იქნება... ვიდრე რუსეთში არსებული მოთხოვნები“.<sup>217</sup> 2025 წლის ივნისში, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ რეჟიმისგან შეიტყო, რომ გრანტის დამტკიცების პროცედურა ჯერ არ იყო დასრულებული, ბრიტანეთის საელჩომ, მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდისთვის, გააუქმა ამომრჩეველთა განათლებისა და მოქალაქეთა საარჩევნო სადამკვირვებლო საქმიანობისთვის განკუთვნილი გრანტები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის უნდა მიეცა.<sup>218</sup>

„ქართული ოცნების“ რეჟიმმა, 2025 წლის 20 თებერვალს მიღებული დადგენილებით, სახელმწიფო გრანტების მართვის სააგენტო დააფუძნა.<sup>219</sup> აღნიშნული სააგენტოს მიზანია, სახელმწიფო გრანტების გაცემით, საქართველოში რეგისტრირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა. ეს გრანტები გაიცემა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ასიგნებებით და გამოიყოფა მთავრობის მიერ დამტკიცებული პრიორიტეტული სფეროებისა და პროგრამების საფუძველზე, რეჟიმის პრიორიტეტებთან თანმხვედრი ინიციატივების დასაფინანსებლად. შესაბამისად, სახელმწიფო სააგენტოს შექმნა წარმოადგენს რეჟიმის გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც გულისხმობს: არა მხოლოდ დემოკრატიის ხელშეწყობის უცხოური პროგრამებით დაფინანსებული სამოქალაქო საზოგადოების დემონტაჟს, არამედ სახელმწიფო სახსრების გამოყენებას მთავრობის მიერ მართული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის შესაქმნელად, სხვა ორგანიზაციებისგან განმეხდელ სამოქალაქო სივრცეში.<sup>220</sup>

2025 წლის ივნისში რამდენიმე ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ თბილისის საქალაქო სასამართლოსგან მიიღო ბრძანებები, რომლებიც მათ ავალდებულებდა, გრანტების შესახებ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაძლო დარღვევების გამოძიების ფარგლებში და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის (მათ შორის, ორი წლით თავისუფლების აღკვეთის) მუქარის ქვეშ, უცხოელი აგენტების რეგისტრაციის, ანტიკორუფციული ბიუროსთვის ფართო სპექტრის ინფორმაციის, მათ შორის, სენსიტიური პერსონალური მონაცემების მიწოდებას.<sup>221</sup> ბრძანებების მიმღებმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უარი თქვეს მოთხოვნის შესრულებაზე და აღნიშნული მოთხოვნა შეაფასეს უკანონოდ და ბენეფიციარების დაცვის ვალდებულების დარღვევად.<sup>222</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა და Amnesty International-მა შეშფოთება გამოთქვეს, რომ მსგავსი მოთხოვნები, რომლებიც არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით,<sup>223</sup> მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8, მე-11 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.<sup>224</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას, შეეჩერებინა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ წინააღმდეგ გამოტანილი ბრძანების აღსრულება.<sup>225</sup>

## ix) ლგბტქი+ თემის შევიწროება

საქართველოში ლგბტქი+ პირები, დიდი ხანია, განიცდიან სისტემურ მარგინალიზაციას და დაცული არაა მათი ფუნდამენტური უფლებები. 2024 წელს ივანიშვილის რეჟიმმა განსახილველად შემოიტანა საკონსტიტუციო ცვლილება „ლგბტქი+ პროპაგანდის“ წინააღმდეგ, რითაც მიბაძა რუსეთსა და უნგრეთში მიღებულ მსგავს დისკრიმინაციულ კანონებს, რაც კიდევ უფრო ღრმად უდგამს ფესვს სტიგმატიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილება ვერ მიიღეს, ამოქმედდა აღნიშნული ცვლილებების კანონმდებლობაში აღმსრულებელი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, მაგალითად, კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“.<sup>226</sup>

ეს კანონი, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს „მამრობით“ და „მდედრობით“ სქესს მხოლოდ „მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლებისა“ და „ბიოლოგიური სქესის“ საფუძველზე (მუხლი 2). იგი კრძალავს „პოპულარიზაციას“, რაც განისაზღვრება, როგორც ისეთი ცნებების დადებითად ან ნეიტრალურად წარმოჩენა, როგორებიცაა არცერთ ბიოლოგიურ სქესთან მიკუთვნება, საკუთარი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნება, ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ურთიერთობები ან ინცესტი (მუხლი 3). შვილად აყვანა აკრძალულია ერთი და იმავე სქესის წყვილებისა და პირებისთვის, რომლებიც ჰეტეროსექსუალურად არ იდენტიფიცირდებიან (მუხლი 5). სქესის შეცვლის ოპერაციები და მასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურები აკრძალულია (მუხლი 6). კანონი ასევე აწესებს შინაარსობრივ შეზღუდვებს მაუნყებლობაში, განათლებაში, არასრულწლოვანებთან პირდაპირ კომუნიკაციასა და საზოგადოებრივ შეკრებებში, „პოპულარიზაციის“ აკრძალვასთან დაკავშირებით (მუხლები 8-10). გარდა ამისა, იგი კრძალავს ოფიციალურ ჩანაწერებსა და დოკუმენტებში იდენტიფიცირებულ ბიოლოგიურ სქესთან კავშირის არმქონე სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის აღიარებას (მუხლი 7), რითაც, სამუშაო ურთიერთობებსა და კომუნიკაციებში, მხოლოდ ბიოლოგიური სქესის გამოყენების ვალდებულებას აწესებს (მუხლი 11). მოქმედი კანონებით, ასევე შესწორებები შევიდა სხვადასხვა კანონში,



კანონმდებლობიდან ამოიღეს სიტყვა „გენდერი“ და იგი ჩაანაცვლეს ტერმინებით „სქესი“ ან „მამრობითი და მდედრობითი“.<sup>227</sup>

საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტთან დაკავშირებულ გადაუდებელ დასკვნაში „ვენეციის კომისიამ“ აღნიშნა, რომ კანონის ძირითადი დებულებები არ შეესაბამებოდა ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს და „ამ ტექსტის მიღების მხოლოდ შემოთავაზებაც კი, (დამატებით) ქმნის საქართველოში ლგბტქი+ ადამიანების წინააღმდეგ მტრული და სტიგმატური ატმოსფეროს კიდევ უფრო გაღვივების საფრთხეს“.<sup>228</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისმა (ეუთო/ODIHR) იგივე მოსაზრება გააჟღერა პროტესტის შინაარსობრივი შეზღუდვების განხილვისას.<sup>229</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა მაიკლ ო'ფლაჰერტიმ მოუწოდა საქართველოს პარლამენტის წევრებს, თავი შეეკავებინათ კანონის მიღებისგან, რადგან ის სტიგმის შენარჩუნებას უწყობს ხელს, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ინცესტთან გაიგივებით.<sup>230</sup> ევროკავშირმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, „სრულიად გადახედოს ამ საკანონმდებლო პაკეტს“.<sup>231</sup>

რეჟიმმა ამომრჩევლის მხარდაჭერის კონსოლიდაცია მოახდინა ლგბტქი+ უმცირესობის დასავლური მთავრობების ე.წ. „ღრმა სახელმწიფოს“ („Deep State“) მიერ კონტროლირებად საფრთხედ წარმოჩენის გზით და ამავდროულად, განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“, საზოგადოების ამ საფრთხისგან „დასაცავად“, ერთადერთი ეფექტური საშუალებაა. ამ მიზნით, 2024 წლის არჩევნებში რეჟიმის მიერ „ოჯახურ ღირებულებებზე“ (როგორც ეს წარმოდგენილია „ქართული ოცნების“ მიერ) ფოკუსირება მიუთითებს, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლგბტქი+ უმცირესობის სტიგმატიზაციას.<sup>232</sup>

## **x) დამოუკიდებელი მედიის პროპაგანდისტული მედიით ჩანაცვლება**

თავდაპირველად, ივანიშვილის რეჟიმმა მედიაპლურალიზმი გარკვეული დობით დაუშვა, თუმცა ეტაპობრივად გაამყარა კონტროლი საქართველოს საინფორმაციო სივრცეზე და გააძლიერა პროპაგანდისტული მანქანა. რეჟიმი ამას ლოიალური მედიასაშუალებების სტრატეგიული მხარდაჭერით აკეთებდა, იმავე დროს კი ასუსტებდა დამოუკიდებელ ხმებს.

რეჟიმის პროპაგანდის მთავარი ინსტრუმენტია კერძო ტელევიზია „იმედი“, რომელსაც ივანიშვილის დიდი ხნის ბიზნესპარტნიორი და სანდო თანამზრახველი ირაკლი რუხაძე მართავს.<sup>233</sup> „იმედი“ რეჟიმის მედიასტრატეგიის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს, არხზე ტრანსლირებული პროგრამები კი მუდმივად აძლიერებს „ქართული ოცნების“ პარტიის პოზიციებს, რადგან სხვა მედიასაშუალებებთან შედარებით, უფრო დიდი მასშტაბითა და გავლენით სარგებლობს. „იმედი“ და რეჟიმის სხვა ერთგული მედიასაშუალებები, რომლებიც რეჟიმის სახსრებით ფინანსდებიან,<sup>234</sup> საბაზრო შემოსავლებზე არ არიან დამოკიდებული, რაც კონკურენტებთან შედარებით, მათ განსაკუთრებულ მდგრადობას უზრუნველყოფს. ამავე დროს, ოპოზიციურად განწყობილი მედია სარეკლამო შემოსავლებზე დანებსებული დამანგრეველი შეზღუდვების პირისპირ დგას. აღნიშნულმა ტაქტიკამ მათი რესურსები ამოწურა, ზოგიერთს მაუნყებლობა შეაწყვეტინა,<sup>235</sup> ზოგი კი დახურვის პირას მიიყვანა. ონლაინ მედიები, რომლებიც ხშირად უცხოური გრანტებით არსებობენ, ახლა „უცხოელი აგენტების“ კანონმდებლობის სამიზნედ არიან ქცეულნი და მათ არსებობასაც საფრთხე ემუქრება.<sup>236</sup>

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე კონტროლის კონსოლიდაცია მედიის კონტროლისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო. ივანიშვილმა ახლო მოკავშირე თავდაპირველად დირექტორად, შემდეგ კი სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა, რითაც უზრუნველყო არხის შესაბამისობა რეჟიმის ნარატივებთან.<sup>237</sup>

მაუწყებლობის შესახებ კანონში განხორციელებულმა ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა რეჟიმის კონტროლი კიდევ უფრო განამტკიცა, ერთი მხრივ, მაუწყებლებისთვის უცხოური დაფინანსების მიღების აკრძალვით, ხოლო, მეორე მხრივ, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის უფლებამოსილების გაფართოებით, რითაც აღნიშნულ კომისიას შინაარსთან დაკავშირებული მკაცრი შეზღუდვების<sup>238</sup> დანესების უფლება მიეცა. 2025 წლის ივნისში „ქართულმა ოცნებამ“ სარჩელი შეიტანა ოპოზიციურად განწყობილი ტელეარხების, „პირველის“, „ფორმულას“ და „მთავარის“ წინააღმდეგ, ანტისახელისუფლებო ტერმინების/ენის გამოყენების გამო.<sup>239</sup>

ბოლოდროინდელი საპროტესტო აქციების დარბევის დროს, გამოიკვეთა დამოუკიდებელი მედია მენეჯერების მიზანმიმართული დევნის ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ მზია ამაღლობელი, მნიშვნელოვანი ციფრული მედიასაშუალება „ნეტგაზეთის“ ხელმძღვანელი, სისხლისსამართლებრივად დააკავეს და პატიმრობა ემუქრება იმ პოლიციის უფროსისთვის სილის გაწვნის გამო, რომელმაც მას, დაკავების დროს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.<sup>240</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა მზიას მდგომარეობა „სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხად“ შეაფასა და ხელისუფლებას მისი დაუყოვნებლივი გათავისუფლებისკენ<sup>241</sup> მოუწოდა, იგივე მოწოდება გააჟღერა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამაც.<sup>242</sup>

## xi) აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა

სკოლებისა და უნივერსიტეტების თავის პოლიტიკურ დღის წესრიგთან შესაბამისობაში მოყვანისა და განსხვავებული აზრის ჩახშობის მიზნით, ივანიშვილის რეჟიმი, ინსტიტუციური მანიპულაციების, საკანონმდებლო ზომებისა და პირდაპირი დაშინების გზით, თანმიმდევრულად უთხრის ძირს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის აკადემიურ თავისუფლებას.

რეჟიმმა სცადა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) გამოყენება უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებების ავტონომიის შესაღებად. აღსანიშნავი მაგალითია 2013 წელს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შეჩერება,<sup>243</sup> რაც მხოლოდ სტუდენტების პროტესტის შემდეგ გაუქმდა. აღნიშნულ უნივერსიტეტს რეჟიმისადმი კრიტიკულად განწყობილი, წინა მთავრობის ყოფილი მინისტრი კახა ბენდუქიძე ხელმძღვანელობდა. უფრო ახლო წარსულში, 2024 წლის სექტემბერში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც თავისი დამოუკიდებლობითა და სტუდენტური აქტივიზმით არის ცნობილი, სადავო გადაწყვეტილების შედეგად, შეფასების რეიტინგი დაუქვეითდა. 2024 წლის ივნისში ექსპერტებისგან მაღალი შეფასებების მიღების მიუხედავად, მას მხოლოდ პირობითი ავტორიზაცია მიენიჭა. გაჭიანურებული დავის შემდეგ, უნივერსიტეტმა, 2025 წლის მარტში, ხარისხის განვითარების ცენტრისგან ექვსწლიანი უპირობო ავტორიზაცია მიიღო.<sup>244</sup> ასეთმა ქმედებებმა ცენტრის სანდოობა დააზარალა, რაც დამოუკიდებლობის დარღვევების გამო, „ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრში“ (EQAR) რეგისტრაციის შეჩერებით დაგვირგვინდა. დარღვევებს შორის ერთ-ერთი იყო ორგანიზაციის ხელმძღვანელის დანიშვნა განათლების მინისტრის

მოადგილედ.<sup>245</sup> უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ასევე დაზარალებულნი არიან GEOFARA-თი და მოსალოდნელი გრანტების შეზღუდვებით, უცხოური დაფინანსებისა და იმ პროგრამების პოტენციური შეჩერებით, რომლებიც, სავარაუდოდ, რეჟიმის დღის წესრიგთან შეუთავსებელია, საფრთხეს უქმნის მათ ფინანსურ და ინტელექტუალურ დამოუკიდებლობას.<sup>246</sup>

ზემოაღნიშნული ინსტიტუციური ზეწოლის გარდა, განსხვავებული აზრის ჩასახშობად, რეჟიმმა ასევე მიმართა პირდაპირ ძალადობას და დაშინებას. 2024 წლის ივნისში სტუდენტსა და აქტივისტს, ნიკო მანაგაძეს, თავს დაესხნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ახლოს, მას შემდეგ, რაც მან გააპროტესტა პრემიერ-მინისტრის ლექციები - ირაკლი კობახიძე უნივერსიტეტში სამართლის პროფესორია.<sup>247</sup> რეჟიმის მხრიდან შემწყნარებლური დამოკიდებულებით ნაქეზებულმა ძალადობრივმა ჯგუფებმა ლიტერატურათმცოდნე ლევან ბერძენიშვილს არაერთხელ შეუშალეს ხელი და 2023 წლის განმავლობაში, არაერთ ლექციაზე მოუწყვეს ობსტრუქცია.<sup>248</sup> უცხოელი აგენტების შესახებ კანონების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობის გამო, თავს დაესხნენ ჯილდოს მფლობელ მასწავლებელ ლადო აფხაზავას.<sup>249</sup> აღნიშნული ინციდენტები წარმოადგენს ინტელექტუალებსა და აქტივისტებზე ზეწოლის ზოგადი სტრატეგიის ნიმუშს, რომლითაც რეჟიმი ცდილობს, უზრუნველყოს მათი მორჩილება. განათლების სისტემაში მსგავსი მორჩილების უზრუნველსაყოფად, რეჟიმმა იარაღად აქცია სამუშაო ადგილის უსაფრთხოებაც. 2024 წლის საარჩევნო ციკლის დროს, მრავალი სკოლის დირექტორი და მასწავლებელი გაათავისუფლეს სამსახურიდან, ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერის გამო, რაც ოპოზიციური განწყობების აღმოფხვრისა და განათლების სფეროს მუშაკებში რეჟიმისადმი ერთგულების განმტკიცების მკაფიო სიგნალს წარმოადგენდა.<sup>250</sup>

აღნიშნული ქმედებების ერთობლიობა აყალიბებს განსხვავებული აზრის მოსპობისა და საქართველოს განათლების სისტემის რეჟიმის ავტორიტარულ მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანის ყოვლისმომცველ სტრატეგიას. დამატებით, საფრთხეს ქმნის უმაღლესი განათლების რეფორმის კომისიაც, რომლის თავმჯდომარეც პრემიერ-მინისტრია. ფართოდაა გავრცელებული შიში, რომ აღნიშნული კომისია ოფიციალურად დაამყარებს პოლიტიკურ კონტროლს უნივერსიტეტებზე.<sup>251</sup> ამის შედეგად მიღებული აკადემიური თავისუფლების ეროზია საფრთხეს შეუქმნის აზროვნების მრავალფეროვნებასა და დამოუკიდებლობას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სიცოცხლით სავსე აკადემიური წრეებისა და საზოგადოების არსებობისთვის.



# IV. საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია საქართველოს დემოკრატიულ უკუსვლაზე

2024 წლის ბოლოდან, საქართველოსადმი საერთაშორისო ყურადღების გაძლიერების მიუხედავად, ივანიშვილის რეჟიმის მიმართ გლობალური რეაქცია არასაკმარისი აღმოჩნდა მისი ავტოკრატიული რეპრესიების ეფექტურად შესაკავებლად.<sup>252</sup> რეჟიმმა განაგრძო ავტორიტარული ძალაუფლების კონსოლიდაცია და ამავდროულად, გააღრმავა კავშირები რუსეთთან, ჩინეთსა და ირანთან.<sup>253</sup>

2024 წლის ბოლოს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა და გაეროს ოთხმა სპეციალურმა მომხსენებელმა შეშფოთება გამოთქვეს „ქართული ოცნების“ მიერ ევროპის კავშირში განწევრიანების მოლაპარაკებების შეჩერებით გამოწვეული პროტესტის სასტიკი ჩახშობის გამო.<sup>254</sup> 2025 წლის იანვარში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) მიიღო კრიტიკული შინაარსის რეზოლუცია, რომლითაც საქართველოს დელეგაციის უფლებამოსილების შეზღუდული აღიარება ხდებოდა იმ პირობით, რომ საქართველოს ხელისუფლებას, სხვა საკითხებთან ერთად, მოეთხოვებოდა „ახალი, ნამდვილად დემოკრატიული“ საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, პოლიტპატიმრების გათავისუფლება და ადამიანის უფლებების დარღვევის დასრულება; მანამდე კი საქართველოს PACE-ში ჩამოერთმეოდა ისეთი უფლებები, როგორებიცაა კომიტეტის წევრობა და არჩევნებზე დაკვირვების მანდატი.<sup>255</sup> საპასუხოდ, რეჟიმმა ცალმხრივად შეწყვიტა საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობა.<sup>256</sup>

2025 წლის თებერვალში ევროპის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც უარი თქვა „ქართული ოცნების“ მთავრობის ლეგიტიმურობის აღიარებაზე და მოუწოდა „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირებისა და ლიდერების, მათ შორის, ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების დაწესებისკენ.<sup>257</sup> ევროკავშირის მხრიდან ქართველი თანამდებობის პირებისთვის<sup>258</sup> უვიზო მიმოსვლის შეჩერების მიუხედავად, მათ წინააღმდეგ სანქციების დაწესება უნგრეთმა და სლოვაკეთმა დაბლოკეს.<sup>259</sup>

რამდენიმე ქვეყნის მთავრობამ სანქციები დაუწესა „ქართული ოცნების“ 200-ზე მეტ წარმომადგენელს.<sup>260</sup> ესტონეთმა, ლატვიამ და ლიეტუვამ პირველებმა დაუწესეს სამოგზაურო შეზღუდვა „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირებს, მათ შორის, ივანიშვილს.<sup>261</sup> ჩეხეთის რესპუბლიკამ სანქციები დაუწესა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამ მაღალჩინოსანს „საპროტესტო აქციების ძალადობრივ დარბევაში“ მონაწილეობისთვის.<sup>262</sup> გერმანიამ განაცხადა, რომ ის არ გააფორმებდა ახალ საკრედიტო ხელშეკრულებებს ან განვითარების თანამშრომლობის პროექტებს საქართველოსთან და დამატებით, ქვეყანაში შესვლა აუკრძალა „ქართული ოცნების“ რეჟიმის თანამდებობის პირებს (მაგრამ არა - ივანიშვილს), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საქართველოში მომიტინგეების დარბევაზე.<sup>263</sup>

2024 წლიდან საქართველოში მიმდინარე ლეგიტიმური საპროტესტო აქციების პასუხად ჩადენილი ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების გამო, გაერთიანებულმა სამეფომ აქტივები გაუყინა და თავის ქვეყანაში შესვლა აუკრძალა ქართველ თანამდებობის

პირებს (მაგრამ არა - ივანიშვილს).<sup>264</sup> კანადამ განაცხადა, რომ „დაუნესებს სანქციებს მთავარ პასუხისმგებელ პირებს, ბიზნესებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართული არიან საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევაში ან კორუფციაში“.<sup>265</sup> უკრაინამ აქტივები გაუყინა და სამოგზაურო აკრძალვა დაუნესა ქართველ თანამდებობის პირებსა და ბიზნესმენებს, მათ შორის, ივანიშვილს.<sup>266</sup>

